ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 2011 №201 (5581) ფასი: 30 თეთრი

## კირცხელი შეკო ჯიქია სასაფლაოზე შიმშილობს

გვ.2

# ირაკლი ალასანია: „რეგიონების სიღატაკემ შოკში ჩამაგდო“



გვ.3

„უამრავ სოფელში, სადაც შევხვდი ადამიანებს, არ აქვთ შეშა და იანვრამდე არც აძლევენ, და იცით, რატომ? იმიტომ, რომ როდესაც ეს ადამიანები ტყეში შევლენ და მოჭრიან, რომ გათბენ, მათი დაკავება და დაჯარიმება მოხდეს. აივსო სოფლები და რეგიონები პრობაციონერებით. მაშინ, როდესაც გლეხი მიწაზე უნდა მუშაობდეს, იძულებულია, პრობაციის სამსახურში მივიდეს, სადაც რიგებია. ვიმეორებ, აივსო რეგიონები პრობაციონერებით. აი, ეს არის ნაციონალური მოძრაობის მართვის სტილი“.

## „ანაკლია კურორტია თუ რუსეთის საწინააღმდეგო პიარქალაქი?“

გვ.4





## ოქრუაშვილის საქმე ისევ ძიებაშია

გვ.2



## თელავის გამგებელს ფულის გათეთრებას აბრალებენ

გვ.5



## რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებას საქართველოს ხელისუფლება აფერხებს

გვ.6

## „საქართველოს ფოსტიდან“ თანამშრომლები მასობრივად გაათავისუფლეს

გვ.6

## ლეიბორისტები მოსახლეობას თავშეკავებისაკენ მოუწოდებენ



გვ.5

## გამოძიებამ პოლიტკოვსკაიას მკვლელობის დამკვეთი გამოავლინა



გვ.2

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**3** დუშეთის ქუჩებში მოხეტიალე შინაური პირუტყვის პატრონს 50 ლარით დააჯარიმებენ

**6** ზარალი ლაგოდეხში 5 მილიონამდე გაიზარდა

**5** თემურ მღებრიშვილის ორგანიზაცია თბილისელებისგან წყლის არარსებულ დავალიანებას ითხოვს

**6** 1,10 სმ სიგრძის მილის ჩაბარებისთვის მეწარმე 3000 ლარით დააჯარიმეს

# კირცხელი შეკო ჯიქია სასაფლაოზე შიმშილობს

**რამდენიმე დღის წინ, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში მცხოვრებმა, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფმა, 62 წლის შეკო ჯიქიამ საკუთარი უფლებების დასაცავად უვადო შიმშილობა გამოაცხადა.**

**საქმე ის გახლავთ, რომ სამეგრელოს გამგეობამ სამეგრელოში მოსახლეობის კუთვნილი მიწების გასხვისება დაიწყო. ამის გასაპროტესტებლად დაიწყო შიმშილობა შეკო ჯიქიამ. იგი რამდენიმე დღეა, თავის საგვარეულო სასაფლაოზე ათენებს და აღამებს, იქიდან ფეხს არ იცვლის და შიმშილობს. ეს ფაქტი „ახალ თაობას“ „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გია ყრუაშვილმა ამცნო.**

ქეთი ხომერიკი


გია ყრუაშვილი

გია ყრუაშვილი:

— ბატონი შეკო რამდენიმე კვირის წინ მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, რომ ჩხოროწყუს რაიონში მიწებს უცხოელებზე ასხვისებენ, ადგილობრივები წინააღმდეგობას კი ვუწევთ, მაგრამ უშედეგოდო. სოფლის გამგებელი და პოლიცია გვემუქრება, ხმა არ ამოიღოთ და ამის შესახებ არავის შეატყობინოთ, თორემ რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთო. რამდენჯერმე ტრაქტორსაც კი ჩავუწექი, მაგრამ ვერაფერს გავხდიო. თავს შევაკლავ, ვიშიმშილებ და თუ ვერ მივაღწიე შედეგს, შიმშილობას გადავყვები, დავიღუპები და დავისვენებო, გვითხრა ბატონმა შეკომ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვთხოვეთ, შიმშილობა არ დაეწყო, თუმცა მაინც ისე მოიქცა, როგორც ჩათვალა საჭიროდ. ვთხოვეთ ერთად დავმდგარიყავით და არსებული პრობლემის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით გვებრძოლა, 29-ში მე და კახა კუკავა ვგეგმავდით მასთან ჩასვლას, თუმცა არ დაგველოდა. თუ მან ჯანმრთელობის მდგომარეობა გაირთულა, მაშინ ხვალვე წავალ, შევხვდები, ვეცდები გადავაფიქრებინო, ბრძოლის სხვა მეთოდები შევთავაზო. ასევე შევხვდები სოფლის მოსახლეობას და ვეცდები, რამენაირად დავეხმარო მათ. „ახალი თაობის“ ფურცლებიდან მოვუწოდებ ოპოზიციურ პარტიებს, ცალ-ცალკე ბრიფინგების ჩატარებას და პიარაქციების კეთებას გავერთიანდეთ ამ და სხვა პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში. „თავისუფალი საქართველო“ სოლიდარობას უცხადებს ყველა იმ ადამიანს, რომელიც იბრძვის თავისი უფლებებისა და მიწაწყლის დასაცავად. ჩვენ მივმართავთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს და ყველა უფლებათადამცველ ორგანიზაციებს, დაეხმარონ შეკო ჯიქიას უფლებებისა და მოთხოვნების დაცვაში. მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეშია.

„ახალი თაობა“ საგვარეულო სასაფლაოზე მყოფ შეკო ჯიქიას დაუკავშირდა.

***— რატომ გადაწყვიტეთ შიმშილობის დაწყება და პროტესტის გამოსახატავად მაინცდამაინც ეს ადგილი, სასაფლაო რატომ შეარჩიეთ?***

— სხვა გამოსავალი არ მაქვს და პროტესტის ამ ფორმას ამიტომაც მივმართე. ეს ადგილი იმიტომ ავირჩიე, რომ, ფაქტობრივად, მკვდარი ვარ. ქრისტიანი კაცი ვარ და თავს ვერ მოვიკლავ და იქნებ ასე მაინც მომაკითხოს მიქელგაბრიელმა. ჩავწექი აგერ ჩემს წინაპრებთან, მკვდრებთან, ცოცხალმკვდარი ვარ მეც. რა მიკლია სიკვდილს, ან რითი ვჯობივარ მკვდარს, დაგვაქციეს, გაგვანადგურეს და შეგვაშინეს, გუშინაც პოლიცია იყო მოსული.

***— რას ნიშნავს შეგაშინეს, რას გეუბნებიან სამართალდამცავები, რომ მოდიან, გემუქრებიან?***

— ისეთს არაფერს, დამხედეს და წავიდნენ. სახნავ-სათესი, საძოვრები, ტყე, ყველაფერი წაგვართვეს. ძალადობას ადგილი არ ჰქონია, წინააღმდეგობა არ გაგვიწევია და ფიზიკურ შეხლა-შემოხლას ამიტომაც არ ჰქონია ადგილი. თავიდან შეგვპირდნენ, 34 ჰექტარს მიწას დაგიტოვებთო, შემდეგ 24 ჰექტრამდე ჩამოვიდნენ, მერე მისი მოცემაც არ მოინდომეს, გესმით? ესენი ვინ არიან, ეს დამპყრობლები, რა რჯულის ხალხი არიან, ვერ გაიგებ.მე თბილისში ვმუშაობდი, აქ ახლა, სიბერეში ჩამოვედი, 62 წლის კაცი ვარ, არც ძროხა მყავს, არც ქათამი, არც ციკანი და არც არაფერი. პატარა მამული მაქვს და იმედია, იმას მაინც არ წამართმევენ. ესენი აყრას უპირებენ სოფელს. გადახნეს ყველაფერი.

***— გამგებელი ან ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი არ მოსულა? რა შემთხვევაში შეწყვეტთ შიმშილობას, რა არის თქვენი მოთხოვნა?***

— უვადო შიმშილობა მაქვს გამოცხადებული. დღეს დავწექი აქ, ვნახოთ, რა მოხდება, ველოდები სასწაულს. უნდა მოვიდეს ფერეროს წარმომადგენლობაც და რაიონიდან ხელისუფალნიც. დეპუტატი მოვიდა დღეს, ხვალაც მოვა და დაგვპირდა, დაგიტოვებთ მიწასო, მაგრამ არ გვჯერა. თუ შეთანხმებას ოფიციალურად გაგვიფორმებენ, ანუ 24 ჰექტარ მიწას (ამ დროს 150 ჰექტარი მიაქვთ) სამადლოდ დაგვიტოვებენ, ამ შემთხვევაში შევწყვეტ შიმშილობას. აბა, აქ ჯდომა რაში მჭირდება, შვილო, ამას მირჩევნია თავში აგური. თუ არადა, არ შევწყვეტ შიმშილობას, უვადოა თანაც. ფეხს არ მოვიცვლი აქედან, გამორიცხულია. დღეს ბიჭები მოვიდნენ, შუქი გამიკეთეს, არ მცილდებიან გვერდიდან, მეც ვუკითხავ ჩომეხის ისტორიას „ნატვრის ხიდან“. მხოლოდ უფლის იმედი მაქვს, სასწაულის მოლოდინში ვარ.

# ოქრუაშვილის საქმე ისევ ძიებაშია

**ირაკლი ოქრუაშვილის საქმე ისევ ძიებაშია და მის უფლებებს სავარაუდოდ, სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ადვოკატი დაიცავს.**

როგორც „პირველს“ „ქართულ პარტიაში“ განუცხადეს, მათი ინფორმაციით, ოქრუაშვილის საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება და მას სასამართლოში ჯერ-ჯერობით არ გადაუნაცვლებია.

რაც შეეხება ადვოკატს, როგორც პარტიაში აცხადებენ, „ქართულ პარტიას“ ოქრუაშვილისთვის ადვოკატი არ დაუქირავებია და ვინ იცავს ამ დროისთვის მის უფლებებს, მათთვის უცნობია.

ადვოკატთან დაკავშირებით განცხადება თავის დროზე, ოქრუაშვილისათვის ბრალის წაყენებისთანავე „ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრმა ეროსი კიწმარიშვილმაც გააკეთა.

მან თავდაცვის ექსმინისტრის მისამართით წაყენებულ ბრალს „აბსურდული“ უწოდა და განაცხადა, რომ პარტია ადვოკატს არ აიყვანდა.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის ექს-მინისტრს მთავარმა პროკურატურამ უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და ხელმძღვანელობაში დასდო ბრალი. თბილისის საქალაქო სასამართლომ, გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ოქრუაშვილი ადრეც იყო ნასამართლევი და მასზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა იყო გამოცხადებული, მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და ავტომატურად ძებნა კიდევ ერთი - 223-ე მუხლის პირველი ნაწილით გამოაცხადა.

შეგახსენებთ ასევე, რომ დაახლოებით თვენახევრის წინ შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ირაკლი ოქრუაშვილის 12 მხარდამჭერი დააკავეს. მათ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნაში ედებოდათ ბრალი. რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ მათთან საპროცესო გარიგება დადო, რის საფუძველზეც ორი მათგანი — ილურიძე და სააქაშვილი გამოძიებასთან განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ, დანარჩენებს კი 3-4 წლიანი პატიმრობა განესაზღვრათ.


ირაკლი ოქრუაშვილი

თავის დროზე შს სამინისტრომ დაკავებულ პირთა აღიარებითი ჩვენებების ვიდეოჩანაწერები და ფარული აუდიოჩანაწერები გაავრცელა. ერთ-ერთი დაკავებულის — გიორგი საბაშვილის ჩვენების მიხედვით, „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი 22 მაისს სოფელ ზემო არცევში იმყოფებოდა და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 200 რუს სპეცრაზმელთან ერთად მალულად უნდა გადმოსულიყო, ადგილზე კი 20 შეიარაღებული ქართული ჯგუფი უნდა დაჰხვედროდა.

მისივე თქმით, აღნიშნულ ჯგუფს პოლიციის საგუშაგო უნდა აეღო, ამ მიზნით კი „ქართული პარტიის“ მხარამჭერებს სპეციალური დავალება ჰქონდათ მიცემული, საგუშაგოებზე არსებული სიტუაცია დეტალურად შეესწავლათ.

საგუშაგოს აღების შემდეგ გორში მდებარე სპეცრაზმისა და შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს შენობებზე თავდასხმა იყო დაგეგმილი, ამ გეგმის განხორციელების შემდეგ კი — უკვე თბილისზე შეტევა, რომლის მიზანს ხელისუფლების ძალისმიერი გზით შეცვლა წარმოადგენდა.

მოგვიანებით ერთ-ერთი სატელევიზიო ინტერვიუს დროს ოქრუაშვილმა აღნიშნული ბრალდებები კატეგორიულად უარყო.

**პირველი**

## ოსი ე.წ. დეპუტატები სოხუმში გაემგზავრნენ

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო დეპუტატები აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარის ნუგზარ აშუბას მიწვევით სოხუმში გაემგზავრნენ.

ოსი „დეპუტატების“ დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში დე ფაქტო პარლამენტის ყველა ფრაქციის წარმომადგენელია, აფხაზეთში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებს დააკვირდება.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში დე ფაქტო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოს გაიმართება.

**პირველი**

## გამოძიებამ პოლიტკოვსკაიას მკვლელობის დამკვეთი გამოავლინა


ანა პოლიტკოვსკაია

გამოძიებამ ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის დამკვეთი დაადგინა, — იუწყება რუსული მედია. „ლენტა.რუს“ ცნობით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ეჭვმიტანილის ვინაობა ჯერჯერობით არ კონკრეტდება. რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა ასევე დაადასტურა მედიაში ადრე გავრცელებული ინფორმაცია მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორის დაკავებაზე. ეს მილიციის ყოფილი პოდპოლკოვნიკი დიმიტრი პავლიუჩენკოვია, რომელიც სასამართლოში აქამდე ბრალდების მხარის მოწმის სტატუსით იკითხებოდა.

გამოძიების ვერსიით, პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შეკვეთა სწორედ მან მიიღო. შეკვეთის შესასრულებლად მან დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნა, რის შემდეგაც თავის დაქვემდებარებაში მყოფ მილიციელებს პოლიტკოვსკაიას თვალთვალი დაავალა.

პოლიტკოვსკაიას მოკვლა უშუალოდ დაჯგუფების ერთ-ერთ წევრ რუსტამ მაჰმუდოვს დაევალა.

გამოძიებისათვის კვალის არევის მიზნით, დიმიტრი პავლიუჩენკოვი ბრალდების მხარის მოწმე საგანგებოდ გახდა. მაშინ იგი ირწმუნებოდა, რომ მკვლელობის შესახებ მას თავად განსასჯელებმა უამბეს.

**მედიანიუსი**

## ბათუმის ბულვარში კავშირ „ქართული საბრძოლო ხელოვნების“ 18 წლის წევრი მოკლეს

ბათუმის ბულვარში კავშირი ქართული საბრძოლო ხელოვნების „შავფაროსნების“ 18 წლის წევრი გიორგი ლალიაშვილი მოკლეს. მოზარდს გულში დანა აქვს დარტყმული. მკვლელმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ექვს ბათუმელ ბიჭს ლალიაშვილთან და მასთან ერთად მყოფ სამ პირთან შელაპარაკება მოსვლია, რის შემდეგაც ერთ-ერთმა მათგანმა 18 წლის ლალიაშვილის დანა გულმკერდის არეში დაარტყა. იგი სასწრაფოს მისვლამდე ადგილზე დაიღუპა. მოზარდის ცხედარი ბათუმის პროზექტურიდან გუშინ თბილისში, სახლში გადმოასვენეს.

როგორც „მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ზურაბ გვენეტაძემ განუცხადა, მკვლელობაში ეჭვმიტანილებზე ძებნაა გამოცხადებული. პოლიცია მათ დაკავებაზე მუშაობს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ჯერჯერობით სხვა დამატებითი ინფრომაციის გახმაურება არ შეუძლიათ.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ლალიაშვილი წელს სტუდენტი უნდა გამხდარიყო. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულები მიიღო და მისთვის სასურველ ფაკულტეტზე ჩარიცხვას დღე-დღეზე ელოდა.

**მედიანიუსი**

## პეკინის გამზირზე ნაპოვნი ბავშვი მშობლებს დაუბრუნეს

თბილისში, პეკინის გამზირზე 3 წლის ბავშვი იპოვეს. იგი მოქალაქე მარი ჩილინაშვილმა შენიშნა. ბავშვი ტიროდა და შველას ითხოვდა.

მოქალაქემ იგი იქვე მყოფ პატრულის თანამშრომლებს მიუყვანა. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა ბავშვის მშობლებს შემთხვევის ადგილის სიახლოვეს მიაკვლიეს.

როგორც გაირკვა, ისინი უცხოელები იყვნენ და ბავშვი ქუჩაში სეირნობისას, საუბარში გართულებმა დაკარგეს. პატრულის თანამშრომლებმა მათ შვილი დაუბრუნეს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 94-39-34
**ვებ-გვერდი** www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ალასანია: „რეგიონების სიღატაკემ შოკში ჩამაგდო“

ქეთი ხომერიკი

**„ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ რეგიონებსა და სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაასრულა და დედაქალაქში დაბრუნდა. საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ „ახალი თაობა“ ირაკლი ალასანიას ესაუბრა.**

ირაკლი ალასანია:

— პირველი, რაც შოკისმომგვრელია, არის ის სიღატაკე, რომელიც იგრძნობა საქართველოს ყველაზე მდიდარ რეგიონებში, როგორებიც იყო თავის დროზე, იგივე სამეგრელო, შიდა ქართლი, იმერეთი და ა.შ. ჩვენ, პრაქტიკულად, დავინახეთ, რომ ყოველ სამ მოქალაქეში ორი ჩვენი მოქალაქე არის უმუშევარი, ანუ ტოტალური უმუშევრობაა და, აქედან გამომდინარე, არის უპერსპექტივობის განცდა, რაც ადამიანებს დეპრესიაში აგდებს და უბიძგებს იქითკენ, რომ დაიწყონ სმა. ვიმეორებ, ძალიან დიდი პრობლემაა ის, რომ სამუშაო ადგილები ტოტალურად არ არის.

***— თუმცა ხელისუფლება ირწმუნება, რომ უამრავი სამუშაო ადგილი შექმნა. ეს სიცრუეა, ბატონო ირაკლი?***

— ბოლო 7 წლის განმავლობაში სამუშაო ადგილები ქრება, კი არ იქმნება. ასე რომ, აბსოლუტურად საწინააღმდეგოა ის, რასაც ჩვენი მოსახლეობა ხედავს ნაციონალურ მედიაში და ის, რაც არის რეალობაში. ადრეც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, რომ დღეს არის ორი საქართველო. ერთია სააკაშვილის და მისი ვიწრო წრის საქართველო, რომელიც ფუფუნებაში ცხოვრობს და მეორეა საქართველო, სადაც 80% ჩვენი მოსახლეობისა არის ჯანდაცვის გარეშე და სიღარიბის ზღვარს მიღმა. ყველა რეგიონსა და რაიონს ასევე აქვს თავისი სპეციფიური პრობლემები. სოფლის მეურნეობა რომ დანგრეულია, ეს ყველგან სახეზეა. გლეხი ყველაზე დაჩაგრულია დღეს იმიტომ, რომ მას ელემენტალური მხარდჭერა არ აქვს სახელმწიფოს მხრიდან, რომ იშრომოს, პროდუქცია აწარმოოს და შემდეგ ეს პროდუქცია ბაზრებამდე მიიტანოს. გლეხები ითხოვენ რუსული ბაზრის დაბრუნებას, მათ სურთ, რომ ნორმალური და არა დამონებული, ბატონყმური ურთიერთობა გვქონდეს ჩვენს მეზობელთან, იმასაც ხედავენ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში რუსეთთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელია. ასევე დავინახე, რომ არც ერთი ვალდებულება, რაც აქვს შიდა ქართლის, სამეგრელოს, გურიისა, თუ ნებისმიერი სხვა კუთხის მოსახლეობის, გლეხების მიმართ აღებული ჩვენს მთავრობას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ შესრულებულა. სასუქი არის ძალიან ძვირი და მისმა ფასმა, პრაქტიკულად, 50 ლარს მიაღწია, შხამ-ქიმიკატებიც ძვირი და უხარისხოა და, რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ აქვს გლეხს და ვინც შოულობს, საწვავის ფასი იმდენად მაღალია, 1200-დან 1500 ლარამდე უჯდება ჰექტარი მიწის დამუშავება.



ირაკლი ალასანია

***— თქვენ დევნილებსაც შეხვდით. რა მდგომარეობაში არიან ისინი?***

— წყალტუბოს რაიონში სანატორიუმებში ჩასახლებულ დევნილებს შევხვდი, რომლებსაც გასახლებით ემუქრებიან. ისინი მძიმე მდგომარეობაში არიან. მათ ფოთში წასვლას სთავაზობენ, მაგრამ ამ ადამიანებისთვის ეს იგივეა, რომ დევნილებად მეორედ იქცნენ. მთავარია, მათ იცოდნენ, რა ელით ხვალ. მათი მომავალი პატრიოტმა ხალხმა, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლებისთვის დევნილების ერთი ადგილიდან მეორეში გადასახლებაზე გადაწყვეტილების მიღება ტექნიკურად ძალიან ადვილია. ისინი არ ითვალისწინებენ, ამას რამდენი ადამიანური ტკივილი მოყვება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ დევნილთა სამინისტროში და აფხაზეთის მთავრობაში რეალურად დევნილების ინტერესების დამცველი ადამიანები მსახურობდნენ და არა ადამიანები, რომლებსაც მართლა ყინულის გული აქვთ. იცით, რა პირობებში უწევთ დევნილებს ცხოვრება? ისინი მორიელებთან ერთად ცხოვრობენ. ერთმა დევნილმა ქალმა გვანახა, რომ მისი საცხოვრებელი ფართი მორიელებით არის სავსე, წარმოიდგინეთ, რა გასაჭირში იმყოფებიან ისინი. და მათი პრობლემები ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებს და არ ადარდებს. ლტოლვილებს ყურადღებას არავინ აქცევს.

უამრავ სოფელში, სადაც შევხვდი ადამიანებს, არ აქვთ შეშა და იანვრამდე არც აძლევენ, და იცით, რატომ? იმიტომ, რომ როდესაც ეს ადამიანები ტყეში შევლენ და მოჭრიან, რომ გათბენ, მათი დაკავება და დაჯარიმება მოხდეს. აივსო სოფლები და რეგიონები პრობაციონერებით. მაშინ, როდესაც გლეხი მიწაზე უნდა მუშაობდეს, იძულებულია, პრობაციის სამსახურში მივიდეს, სადაც რიგებია. ვიმეორებ, აივსო რეგიონები პრობაციონერებით. აი, ეს არის ნაციონალური მოძრაობის მართვის სტილი.

***— სვანეთში რა მდგომარეობაა, რას უჩივიან და ითხოვენ სვანები?***

— სვანეთში სოფლის მეურნეობა ისეთივე დანგრეულია, როგორც მთელ საქართველოში. სვანეთის მცხოვრებლების უმეტესობა დაუსაქმებელია. სახელმწიფო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ ზრუნავს იმაზე, რომ გლეხებს დაეხმაროს, იმ ადამიანებს დაეხმაროს, ვინც მიწაზე შრომობს, რათა თავისი მძიმე შრომით ოჯახი არჩინოს. ამის საშუალება დღეს სვანებს არ აქვთ. ვიმეორებ, სვანეთის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა ისეთივე დანგრეულია, როგორც მთელ საქართველოში. ამიტომაც აუცილებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროში ცვლილებები განხორციელდეს. ჩვენ გვჭირდება გლეხების რეალური მხარდაჭერა. რეალური მხარდაჭერა სასუქით, შხამ-ქიმიკატებით, რომ ადამიანებს შემოსავალი ჰქონდეთ და შიმშილი არ ემუქრებოდეთ.

***— თქვენ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს ღია წერილით მიმართეთ, სადაც საქართველოს რამდენიმე სტრატეგიული ობიექტის შესაძლო გაყიდვას ეწინააღმდეგებით, რა საფრთხეების შემცველია ეს და თუ ელით პრემიერის გამოხმაურებას?***

— მთავრობა საქართველოს რკინიგზის, ელექტროსისტემის, გაზისა და ნავთობის კორპორაციის და სხვა სახელმწიფო კომპანიების აქციათა პაკეტების 15-25%-ის ლონდონისა და ვარშავის ბირჟებზე განთავსებას აპირებს. ზოგადად, კომპანიების აქციების საერთაშორისო ბირჟაზე განთავსება მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ ჩვენს რეალობაში ეს გადაწყვეტილება სერიოზულ რისკებს შეიცავს. მაქვს ეჭვი, რომ ხსენებული სტრატეგიული ობიექტების შემცირებულ ფასად ბირჟაზე გატანით დაინტერესებულია ხელისუფლება, რათა კონკრეტული ინვესტორების მიერ ამ ობიექტების ფარული პრივატიზაცია განხორციელდეს, ხოლო შემდეგ ეტაპზე მოხდეს საკონტროლო პაკეტის მათ ხელში იაფად ჩადგება. ბოლო წლების განმავლობაში, მრავალი მაგალითი დაგროვდა იმისა, თუ რა ფორმით და როგორ მიზანმიმართულად ასხვისებს მოქმედი ხელისუფლება ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტებს შეუსაბამოდ დაბალ ფასად. როდესაც ინვესტორმა შეიძინა ფოთის პორტი, ორი წლის შემდეგ, მასში უმნიშვნელო ინვესტიციების ჩადების შემდეგ, იგი ორმაგ ფასად გაყიდა. როგორც ჩანს, ამჯერად, გაზსადენის, რკინიგზისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების გასხვისების ჯერი დადგა. აქვე, გასათვალისწინებელია ის რისკიც, რომ ობიექტების სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ ობიექტების მყიდველებად მხოლოდ ჩვენი მეზობელი ქვეყნები თუ მოგვევლინებიან.

***— რუსეთს გულისხმობთ?***

— ალბათ, რუსეთი მიაქვს და ყიდულობს ძირითადად ყველაფერს საქართველოში. ეს თუ მოხდება, საქართველოს მოუწევს მათი ინტერესების გათვალისწინება გატარება. და ეს იქნება კატასტროფა. პირდაპირ ვამბობ, ეს არის ანტიეროვნული გადაწყვეტილება. ერთი სიტყვით, საქართველოს არ ჰყავს პატრონი და, როგორც დავინახე, საზოგადოება ითხოვს ისეთ ლიდერებს, როგორიც ვართ თუნდაც ჩვენ „თავისუფალი დემოკრატები“. საზოგადოებამ დაინახა, რომ რევოლუციები და რადიკალური გზით ბრძოლა წარსულს უნდა ჩაბარდეს, არ არის შედეგის მომტანი. ხალხი არჩევნების გზით ცვლილებების მომხრეა. და ჩვენ უნდა დავარწმუნოთ, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ნიჰილიზმშია მოვიდეს არჩევნებზე. უკლებლივ ყველა უნდა მივიდეს არჩევნებზე, რომ მიიღოს ის ცვლილებები, რომელთაც ითხოვს. და იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებს გააყალბებენ ქვეყანა დიდი საფრთხის, პირდაპირ გეუბნებით, სამოქალაქო ომის წინაშე დადგება.

***— დაბოლოს, რას აპირებს „ექვსიანი“ შემოდგომიდან?***

— ჩვენ ვაპირებთ სამოქალაქო საზოგადოებისა და ჩვენი მოქალაქეების ჩართვას კონკრეტულ მანიფესტაციებში, ღონისძიებებში და აქციებში, რათა სააკაშვილს გავაგონოთ ხმა, რომ ის ცვლილება საარჩევნო გარემოში, რომელსაც ხელი მოაწერეს არ არის საკმარისი და თუ არ გაიგონებს, მიიღებს რევოლუციურ არჩევნებს.

## ცხინვალში ქართული „მშვიდობის მარშისთვის“ მზად არიან

თბილისი. ცხინვალში ქართული „მშვიდობის მარშისთვის“ მზად არიან.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს ხელმძღვანელის ალექსანდრე მურზინის განცხადებით, „რუსი მესაზღვრეები 26 აგვისტოსთვის დაგეგმილი ქართული „მშვიდობის მარში“ აღსაკვეთად შესაბამის ზომებს იღებენ“.

— სასაზღვრო სამმართველოს თანამშრომლები ყველა აუცილებელ ზომას იღებენ, რათა აღკვეთონ ქმედებები, რომელმაც შესაძლოა, ორ ერს შორის კვლავ კონფრონტაცია გამოიწვიოს. აღნიშნული აუცილებელი ზომები ოსურ მხარესთან და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან ერთად ტარდება, — განაცხადა მურზინმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართული მხარე ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მესამე წლისთავთან დაკავშირებით მორიგი პროვოკაციების მზადებაში დაადანაშაულა.

ლავროვის უწყების მტკიცებით, „ათასობით დევნილი „მშვიდობის მარშის“ საფარქვეშ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეღწევას შეეცდება“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ არანაირი „მშვიდობის მარში“ არ იგეგმება.

**პირველი**

## აფხაზეთში დამკვირვებლებისთვის საინფორმაციო ცენტრი იხსნება

ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტული მთავრობა დამკვირვებლებისა და უცხოელი სტუმრებისთვის სპეციალურ საინფორმაციო ცენტრს „საპრეზიდენტო არჩევნები — 2011“ ხსნის. როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება, ე.წ საინფორმაციო ცენტრს ხვალ აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თვმჯდომარე ათალ ტაბალუა გახსნის.

აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის ცნობით, „საპრეზიდენტო არჩევნები — 2011“ საარჩევნო პროცესის მონაწილეების, დამკვირვებლებისა და უცხოელი სტუმრებისთვის იმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოსთვის არის დანიშნული. კენჭს მოქმედი დე-ფაქტო პრემიერი სერგეი შამბა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ანქვაბი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა იყრიან. აფხაზი სეპარატისტების მტკიცებით, არჩევნებს 80-მდე უცხოელი დამკვირვებელი დააკვირდება.

**მედიანიუსი**



# „ანაკლია კურორტია თუ რუსეთის საწინააღმდეგო პიარქალაქი?“

ნონა ცაბა ე

**რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ანაკლიის საკურორტო ზონა გახსნა. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობას“ ექსპერტ-კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ესაუბრა.**


ანაკლიის ხიდი

*— პრეზიდენტმა ბედნიერმა და კმაყოფილმა გახსნა ანაკლიის საკურორტო ზონა.*

— ეს ხომ საერთოდ სასაცილოა. ჯობია, სააკაშვილი ჩამოყალიბდეს, ისინი ანაკლიაში კურორტს აშენებენ თუ რუსეთის საწინააღმდეგო პიარქალაქს. იმიტომ, რომ თუ სააკაშვილის იმის იმედი აქვს, რომ იქ უცხოელები ჩამოვლენ, უცხოელები არ ჩადიან იქ, სადაც არის რისკი, სადაც არის ოკუპირებული ტერიტორიები. მან ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა ილაპარაკოს, ან — საკურორტო ზონაზე. ის ერთზეც ლაპარაკობს და მეორეზეც, რაც აბსურდულია. ევროპელი ტურისტი არის საკმაოდ ფრთხილი და ის ყოველ მის ცენტს უფრთხილდება. მას არ უნდა, რომ სარისკო რეგიონებში წავიდეს. როცა ყოველდღე ეუბნები მას, რომ აქეთ ოკუპირებულია, აქეთ ბნელა და ხუთ კილომეტრში ნათელია, არ წამოვა ხუთკილომეტრიან ნათელში. არსებობს უამრავი სხვა ნათელი ადგილი და იქ წავა. კვიპროსზეც კი, სადაც ოკუპირებულია ტერიტორია თურქეთის მხრიდან, უფრო მეტი ადამიანი ჩადის, რადგან კვიპროსელები არ ლაპარაკობენ ოკუპაციაზე, რათა არ დააფრთხონ ტურისტები.

***— ანაკლიაც პიარის ნაწილია?***

— ეს სჭირდება, პირველ რიგში, ფულის გასათეთრებლად. აშკარაა, რომ დიდი ფული თეთრდება მანდ. ანაკლია ვერ იქნება ტურისტული ადგილი. ვიდრე არ აღდგება ტერიტორიული მთლიანობა, გამორიცხულია, ანაკლიაში იყოს სამშვიდობო და მდგრადი განწყობა.

***— ფასებიც საკმაოდ დიდია სასტუმროებში.***

— რა თქმა უნდა. ერთი მხრივ, საუბარია კომპანია „რეინიერის“ შემოსვლაზე საქართველოში, ძალიან იაფი ავიახაზებია და ამ ავიაკომპანიით სარგებლობენ ნაკლებად შეძლებული ტურისტები. რამდენიმე თვის წინ გვახარა ვერა ქობალიამ, „რეინიერი“ შემოვა საქართველოშიო. ერთი მხრივ, ეს ცუდი არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, შენ თუ ღარიბ ტურისტებზე გაქვს გათვლა, 5-ვარსკვლავიან


პაატა ზაქარეიშვილი

სასტუმროებს არ უნდა უშენებდე, უნდა უშენებდე 3-ვარსკვლავიან სასტუმროებს. სააკაშვილმა 7-ვარსკვლავიანიც კი დააბრეხვა ამას წინათ. 7-ვარსკვლავიანი სასტუმრო ერთადერთია და ისიც — დუბაიში. საქართველოში ტურისტებად ჩამოვლენ მხოლოდ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. შეიძლება, ირანიდანაც ჩამოვიდნენ და, როგორც წესი, ჩამოდიან საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანები. მათ სჭირდებათ რაც შეიძლება მეტი საშუალო კატეგორიის სასტუმრო და არა — მაღალი კლასის. ჩვენთან არ ჩამოვლენ მილიონერები დასასვენებლად. მილიონერები ჩავლენ იქ, სადაც გარემო მშვიდი, წყნარი და მდიდრულია. საბერძნეთია ასეთი, მექსიკა, იგივე ეგვიპტე, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია. მილიონერებისთვის 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო არის მისაღები, მაგრამ ყველაფერი უნდა იყოს მაღალი დონის და არა მარტო ნომერი. ისინი ნომერში არ ჩამოდიან, ისინი ჩამოდიან გარემოში.

***— შემოდგომიდან რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ?***

— არა მგონია, რომ შემოდგომიდან ძალიან დაიძაბოს პროცესები. შემოდგომიდან ხელისუფლებამ უნდა დადოს ახალი ვერსია საარჩევნო კოდექსისა. რა თქმა უნდა, ამას ძალიან იოლად გაიტანს პარლამენტში, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუმცა, მე მაინც იმ პოზიციაზე ვრჩები, რომ ნებისმიერი კოდექსით შეიძლება სააკაშვილის დამარცხება. რა თქმა უნდა, ჯობია, კოდექსი იყოს უკეთესი, მაგრამ ასეთი ფორმითაც შეიძლება მისი დამარცხება. როგორმე საზოგადოება უნდა დავაჯეროთ, რომ ყველა ის ლეგენდა, რომ მაინც გაყალბდება, კანონი მის სასარგებლოდაა, მიტინგების ჩატარება შეუძლებელი იქნება, ყველა მინუსი, რომლებიც ვითომდა საზოგადოების წინააღმდეგაა, სინამდვილეში ხელისუფლების წინააღმდეგაა. ასე რომ, არ უნდა ჩავთვალოთ, თითქოს სააკაშვილის ეს ქცევები მის სიძლიერეზე მეტყველებს. ყოველთვის უნდა დავსვათ კითხვა, სააკაშვილმა კანონი გაამკაცრა, ხალხი დაარბია — ეს რისი ნიშანია, მისი სიძლიერის თუ სისუსტის? ჩემი აზრით, ეს მისი სისუსტის ნიშანია. ჩვენ საპირისპიროდ უნდა მოვიქცეთ. სააკაშვილი შეეცდება, შეზღუდოს საზოგადოებრივი აქტიურობა? — ჩვენ უნდა გავაქტიურდეთ, მაგრამ ეს არეულობამდე არ უნდა მივიყვანოთ, რათა შემდეგ სააკაშვილმა ხალხს არ დააბრალოს, არეულობის გამო ქვეყანაში კრიზისიაო. მთავარი ამოცანაა, როგორმე მშვიდად მივიდეთ 2012 წლის არჩევნებამდე.

***— 2012 წლის არჩევნები გადამწყვეტი იქნებაო...***

— რა თქმა უნდა. საპარლამენტო არჩევნები უფრო გადამწყვეტი იქნება, ამიტომ დღეს ისევ შემოიტანენ ახალ ლეგენდას ხელისუფლების ხელშემწყობი პოლიტიკური ძალები, რომ მთავარია საპრეზიდენტო არჩევნები. არა, მთავარი იქნება საპარლამენტო არჩევნები. ყველა ლაპარაკობს 2013 წელზე, ამ დროს ლაპარაკი უნდა იყოს 2012 წელზე. 2012 წელს წყდება საქართველოს ბედი, დარჩება სააკაშვილის მმართველობითი სისტემა კიდევ ათი წელი მაინც თუ ბოლო მოეღება მის მმართველობას 2012 წელს. ამიტომ, კეთილი ვინებოთ და მთელი ენერგია გადავიტანოთ 2012 წლის არჩევნებზე, მშვიდად, წყნარად მივიდეთ ნახევარი საათით საარჩევნო უბანზე და ხმა არ მივცეთ სააკაშვილს. აი, ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა.

# ოფიციალური თბილისი მოსკოვის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს

ოფიციალური თბილისი მოსკოვის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ქართულ მხარეს „მშვიდობის მარშის“ გამართვის გეგმაც კი არ აქვს.

ასე ეხმაურება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალური მოსკოვის გუშინდელ ბრალდებას 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავზე საქართველოს მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთში მასშტაბური პროვოკაცის მზადების თაობაზე.

„ძალზე საგანგაშოა, რომ რუსეთის ფედერაცია ამზადებს ფონს შემდგომი პროვოკაციებისა და რეგიონში არსებული ისედაც რთული სიტუაციის ესკალაციისთვის. ამგვარი საბჭოური სტილის პროპაგანდა მიზანმიმართულია რეგიონში სიტუაციის დაძაბვისკენ, რაც ქმნის საფუძველს შესაძლო პროვოკაციებისათვის. შეიძლება, ითქვას, რომ ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ამგვარ უსაფუძვლო ბრალდებებს და სერიოზულად აღარც აღვიქვამთ მათ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის რეაქციაც ადასტურებს იმას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობაც აღარ აღიქვამს ამგვარ განცხადებებს სერიოზულად. თუმცა ჩვენ განვაგრძობთ მოვლენების განვითარებაზე ყურადღებით დაკვირვებას, ვინაიდან ზუსტად არ ვიცით, როგორი აგრესიული ზრახვები იმალება ამ განცხადების მიღმა“, — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, ოფიციალური თბილისის აზრით, „განსაკუთრებით შემაშფოთებელია განცხადებაში ღიად დაფიქსირებული უპატივცემულობა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების მიმართ“.

„ადამიანები, რომლებიც რუსული ძალებისა და საოკუპაციო რეჟიმების მიერ საკუთარი საცხოვრებლებიდან გამოდევნილ იქნენ, განცხადებაში მოხსენიებული არიან, როგორც „აგრესიული ჯგუფი სიტუაციის დესტაბილიზაციისა და პროვოკაციების განხორციელების მიზნებით“. საიდუმლო არაა, რომ რუსეთი წლების განმავლობაში ყველა საერთაშორისო ფორუმზე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების პროცესის დაწყებას ეწინააღმდეგება. აღნიშნულ „ძალისხმევას“ დღეს ცინიზმიც დაემატა. ამგვარად, ეს განცხადება იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის პოზიციის ნათელი მაჩვენებელია“, — აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

როგორც ცნობილია, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება 26 აგვისტოს, რუსეთის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მესამე წლისთავზე ახალგორის მიმართულებით „მშვიდობის მარშის“ მოწყობას და ამ გზით მასშტაბური პროვოკაციის განხორციელებას გეგმავს.

ლავროვის უწყების მტკიცებით, მსვლელობა სოფელ ოძისიდან დაიწყება, ახალგორისკენ მიმავალ გზაზე ე.წ. სასაზღვრო საგუშაგოს მიმართულებით გაგრძელდება და მასში 3 ათას დევნილთან ერთად ახმეტის რაიონში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილებიც მიიღებენ მონაწილეობას.

მოგვიანებით ანალოგიური ბრალდება ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამაც გააჟღერა.

**პირველი**

# „ქრისტიან — დემოკრატების“ კანდიდატი თელავში ნიკა ლაშხი იქნება

ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატი თელავის შუალედურ არჩევნებში ნიკა ლაშხი იქნება, — იუწყება რადიო „ჰერეთი“.

მოძრაობის აღმასრულებელი მდივნის ვანო გალახვარიძის განცხადებით, ნიკა ლაშხის ოფიციალური წარდგენა სავარაუდოდ 31 აგვისტოს მოხდება.

ნიკა ლაშხი 2009 წლიდან ირიცხება ქრისტიან-დემოკრატების რიგებში, და მას თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა უკავია.

თელავის 17 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით გასამართი პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის, ცესკო-ში სამი პოლიტიკური სუბიექტი დარეგისტრირდა.

როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ — ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, „ნაციონალური მოძრაობა“ და „მრეწველები“. რაც შეეხება მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს, მათ შესახებ განაცხადი აღნიშნულმა პარტიებმა შესაბამისს ოლქში 2 სექტემბრამდე უნდა წარადგინონ.

არჩევნები თელავის 17 საარჩევნო ოლქში 2 ოქტომბერს შედგება. არჩევნების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პირველ აგვისტოს მიიღო.შუალედური არჩევნები თელავში მაჟორიტარული წესით პარლამენტის წევრად არჩეული გიორგი არსენიშვილის გარდაცვალების გამო დაინიშნა.

**მედიანიუსი**

# ირანმა რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა



ირანმა საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.საქმე რუსეთის მიერ ირანისთვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექს ჩ-300-ის მიწოდების შესახებ კონტრაქტის დარღვევას ეხება.

„ვთვლით, რომ იურიდიულად ჩ-300-ის გატანა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში არ შედის. ჩვენ გავგზავნეთ სარჩელი, რათა სასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთს ამ მიწოდების განხორციელებაში დაეხმაროს, რათა მას იურიდიულად კოზირი ჰქონდეს“, — განაცხადა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ირანის ელჩმა რუსეთში მაჰმუდ რეზა საჯადიმ.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის მიერ ირანისთვის ჩ-300-ის მიწოდების შესახებ კონტრაქტს 2007 წლის ბოლოს მოეწერა ხელი. რუსეთს ირანისთვის 800 მლნ დოლარად საზენიტო-სარაკეტო სისტემა -300 -1-ის 5 დივიზიონი უნდა მიეწოდებინა, თუმცა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მეოთხე რეზოლუციის თანახმად, ირანისთვის ჩ-300-ის, ჯავშანტექნიკის, საბრძოლო თვითმფრინავების, ვერტმფრენებისა და გემების მიწოდება აიკრძალა.

რუსეთმა ირანისთვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექს ჩ-300-ის მიწოდების შესახებ კონტრაქტის ანულირება გასული წლის ოქტომბერში მოახდინა.ახლა მოსკოვს შესაძლოა, მილიარდი დოლარის გადახდა მოუწიოს.

**პირველი**

# გრიგოლ ვაშაძემ მექსიკაში შეხვედრები გამართა


გრიგოლ ვაშაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ოფიციალური ვიზიტით მექსიკის შეერთებულ შტატებს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვდა მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრს პატრიცია ესპინოზას და მექსიკის კონგრესის დეპუტატთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს პორფორიო მუნიოს ლედოს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სიტყვა წარმოთქვა მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ მატიას რომეროს ინსტიტუტში.

როგორც საქართველოს საგარეო სამინისტრო იუწყება, გრიგოლ ვაშაძემ კმაყოფილებით აღნიშნა მექსიკის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. თავის მხრივ, მექსიკის მხარემ მადლიერება გამოხატა გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირებასთან და კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით ქართული მხარის კონსტრუქციული პოზიციის გამო.

მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა დინამიური და ურთიერთსასარგებლო ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და ჰუმანიტარული მიმართულებებით, მათ შორის, მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტებისა და პოლიტიკური კონსულტაციების გამართვის გზით. აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობის კუთხით.

მექსიკის მხარე დაინტერესდა საქართველოში განხორციელებული რეფორმებით, განსაკუთრებით ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, რაც სამაგალითო შეიძლება გახდეს ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოებისათვის. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოხატა საქართველოს მზადყოფნა, თავისი გამოცდილება გაუზიაროს რეგიონის ქვეყნებს სამართალდამცავი სტრუქტურების ეფექტიანობის ამაღლების, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის კუთხით.

**მედიანიუსი**

# უკრაინის დამოუკიდებლობის 20 წლისთავი თბილისშიც აღინიშნა

უკრაინის დამოუკიდებლობის 20 წლისთავი თბილისშიც აღინიშნა.

გუშინდელი დღე საქართველოში მცხოვრებმა უკრაინელებმა და უკრაინის საელჩოს თანამშრომლებმა ერთად აღნიშნეს.

უკრაინის ელჩმა საქართველოში ვასილ ციბენკომ და ნაციონალურ სამოსში გამოწყობილმა საელჩოს წარმომადგენლებმა ტარას შევჩენკოს ძეგლი გვირგვინით შეამკეს.

შეგახსენებთ, რომ 1991 წელს ჩატარებულ რეფერენდუმზე უკრაინის მოქალაქეების 90%-მა მხარი ქვეყნის დამოუკიდებლობას დაუჭირა.

**პირველი**

## ჯონდი ბაღათურია ახალგაზრდა თანაპარტიელებს შეხვდა


ჯონდი ბაღათურია

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდო ბაღათურია ბათუმში, სასტუმრო „ვერე პალასში“ ახალგაზრდა დასელებს შეხვდა. დეპუტატმა ისაუბრა განათლების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი საქართველოში ახლგაზრდების უმაღლესი განათლების მიღებას.

„საქართველოში თითქმის აღარ არსებობს საშუალება მიიღო უმაღლესი განათლება უფასოდ. ასევე, პრობლემად რჩება დასაქმების საკითხი. სწორედ ამიტომ ქართველი ახალგაზრდები გადიან საქართველოდან და მათი უმრავლესობა სამწუხაროდ, აღარ ბრუნდება სამშობლოში“, — განაცხადა ბაღათურიამ.

**მედიანიუსი**

## ლეიბორისტები მოსახლეობას თავშეკავებისაკენ მოუწოდებენ


პაატა ჯიბლაძე

საქართველოს ლეიბორისტული პარტია მოსახლეობას კერძო საგადასახადო ინსპექტორებთან კონტაქტის არქონისკენ მოუწოდებს. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, ლაპარაკია შემოსავლების სამსახურის კერძო საგადასახადო ინსპექტორებზე, რომელიც „სააკაშვილმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტ-ზონდერებით დააკომპლექტა“.

მისი თქმით, ისინი თემურ-ლენგის ურდოებივით მოედვნენ მთელ საქართველოს და მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა დაჯარიმება-დაყაჩაღება სხვადასხვა ხერხით დაიწყეს.

„მოსახლეობას მოვუწოდებთ, არ იქონიოს კონტაქტი საგადასასახდო ინსპექტორის მანტიასამოფარებულ ნაცმოძრაობის ტურებთან, არ გაანდოს მათ საკუთარი ბიზნეს-ეკონომიკური პრობლემები, რადგან ეს მათ ჯარიმებად, ქონების ჩამორთმევად და დაპატიმრებადაც კი დაუჯდებათ“, — აღნიშნა პაატა ჯიბლაძემ.

მისი თქმით, შემოსავლების სამსახურის უფროსმა ჯაბა ებანოიძემ თავის დროზე აღნიშნა, რომ კერძო საგადასახადო ინსპექტორები მუშაობას არა მეწარმეების დასაჯარიმებლად, არამედ მათთვის საგადასახადო კოდექსის უკეთ განმარტებისათვის იწყებენ. სინამდვილეში კი ისინი მათ „აყაჩაღებენ, მაღალ ჯარიმებს უწერენ და ხალხის ფულით ხელფასს იღებენ“.

**მედიანიუსი**

## თემურ მღებრიშვილის ორგანიზაცია თბილისელებისგან წყლის არარსებულ დავალიანებას ითხოვს



თემურ მღებრიშვილი

„თავისუფალი დემოკრატების“ ინფორმაციით, სპეცრაზმის ყოფილი უფროსი თემურ მღებრიშვილის მიერ დაფუძნებული „საფინანსო-საკრედიტო ბიურო“ თბილისელებისგან 1999-2002 წლების წყლის დავალიანებას ითხოვს.

როგორც აღნიშნულ ბიუროსთან გამართულ პრესკონფერენციაზე „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, ისედაც გაზრდილი გადასახადების ფონზე თბილისელებს კიდევ ერთი ახალი გაუგებარი წარმომავლობის გადასახადი დააკისრეს.

მისი თქმით, მოქალაქეებმა „საფინანსო-საკრედიტო ბიუროსგან“ მიიღეს გაფრთხილება, რომ 1999-2002 წლებში მოხმარებული წყლის დავალიანება დაფარონ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ცნობით, ამ პერიოდში სასმელი წყალი უფასო იყო შესაბამისად, დავალიანებაც არ არსებობს.

მან ჟურნალისტებს დავალიანების მოთხოვნის შესაბამისი გამაფრთხილებელი დოკუმენტაციაც წარუდგინა.

აბაშიძემ საფინანსო-საკრედიტო ბიუროში ამ გადასახადის წარმომავლობის და ბიუროს მფლობელის დადგენა სცადა, თუმცა დაცვამ შიგნით არ შეუშვა. დაცვის თანამშრომლების თქმით, ხელმძღვანელობა ოფისში არ იმყოფება და კომენტარსაც ვერავინ გააკეთებს.

„თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა დაცვის წევრისგან მხოლოდ იმის გარკვევა მოახერხა, რომ საფინანსო-საკრედიტო ბიურო კერძო ორგანიზაციაა და მას სპეცრაზმის ყოფილი უფროსი, თემურ მღებრიშვილი ხელმძღვანელობს.

**მედიანიუსი**

# თელავის გამგებელს ფულის გათეთრებას აბრალებენ

*ქეთი ხომერიკი*


გიორგი მოსიაშვილი

**„თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს ვასილ დავითაშვილს ფულის გათეთრებაში ადანაშაულებს. კუკავას თანაპარტიელის განცხადებით, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი ფულის გათეთრებას სტიქიასთან ბრძოლას ეძახის.**

**გიორგი მოსიაშვილი:**

— საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის 1402 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხები გამოიყო. ყველაფრის სწრაფად აღსადგენად მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს სტიქიური შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისთვის შესასრულებელ სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადების გარეშე მოხდეს გამარტივებული შესყიდვა. როგორც ჩანს, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვასილ დავითაშვილმა სწრაფად აუღო ალღო განკარგულებას და სულ რაღაც 15 ძირი ფიჭვის ხის მოსაჭრელად სამუშაოზე გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გაუფორმა ინდმეწარმე ოთარ ყველაშვილს. ამ სამუშაოს შესასრულებლად გამოიყო 47.499 ლარი.

ამის შესახებ მოსიაშვილმა 23 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მანვე ისიც თქვა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა წინააღმდეგი იყო მრავალწლიანი ნარგავების მოჭრისა, რაც გააპროტესტეს კიდეც.

თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაცია დაინტერესდა გამარტივებული შესყიდვის აუცილებლობით და გაარკვია, რომ არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ამგვარი ხელშეკრულების დადება და შესაძლებელი იყო, გამოცხადებულიყო ტენდერი სამუშაოს შესყიდვაზე, რადგან ეს არ იყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაო.

კუკავას თანაპარტიელის მტკიცებით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხელისუფლება გეგმიურად უნდა ახორციელებდეს ამგვარ სამუშაოებს. მოსიაშვილი ირწმუნება, რომ აქ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ დანაშაულთან, რასაც თანხების არამიზნობრივი ხარჯვა ჰქვია.



— ასევე ნიშანდობლივია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც აშკარად მეტყველებს კორუფციულ სქემაზე. ერთი და იგივე დღეს მოხდა სამი სხვადასხვა დოკუმენტის გაფორმება. 1 აგვისტოს თელავის მუნიციპალიტეტის ცენტრალური თელავის ტერიტორიული მართვის ორგანოს რწმუნებულმა შეადგინა აქტი სამუშაოს შესრულების აუცილებლობაზე, იმავე დღეს მოხდა მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურთან არსებული კომისიის მხრიდან აქტის შედგენა და ასევე იმავე დღეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვასილ დავითაშვილმა გააფორმა გამარტივებული შესყიდვა ინდმეწარმე ყველაშვილთან, — განმარტა მოსიაშვილმა.

მოსიაშვილისვე თქმით, „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაცია მიმართავს საოლქო პროკურატურას, რათა დაინტერესდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვასილ დავითაშვილის, მიერ საზაფხულო შესყიდვებით, სადაც იკვეთება აშკარა კორუფციული ნიშნები, სადაც ასევე აშკარად სახეზეა გამგებლის ინტერესი, ტენდერის გვერდის ავლით განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვები.

„ახალმა თაობამ“ **გიორგი მოსიაშვილს** რამდენიმე კითხვით მიმართა.

***— ბატონო გიორგი, თუ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ამგვარი ხელშეკრულების დადება და შესაძლებელი იყო, გამოცხადებულიყო ტენდერი სამუშაოს შესყიდვაზე, რატომ არ გააკეთა ეს გამგებელმა?***

— როგორ წარმოგიდგენიათ რეალობაში ის, რომ ერთი და იგივე დღეს შედგა სამი აქტი. ჯერ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა შეადგინა აქტი, რომ სასწრაფოდ სჭირდებოდა 15 ფიჭვს მოჭრა, შემდეგ მიიტანა გამგებელთან აქტი, გამგებელმა შექმნა გამგეობაში კომისია, კომისია გავიდა ადგილზე, შეადგინა ოქმი, შემდეგ კი გამგებელმა სასწრაფოდ იმავე დღეს გააფორმა გამარტივებული ხელშეკრულება ინდმეწარმე ყველაშვილთან? რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია, რადგან მინიმუმ დროში და სივრცეშია წარმოუდგენელი ასეთი საქმის გაკეთება. დასკვნები მკითხველმა გამოიტანოს, არის აქ კორუფცია თუ არა.

***— ინდმეწარმე ყველაშვილი ნაციონალებთან დაახლოებული პირია? გსმენიათ რაიმე მის შესახებ?***

— სამუშაო, რომელსაც ინდმეწარმე ყველაშვილი ახორციელებს, არის ტენდერის გვერდის ავლით, გამარტივებული შესყიდვით განხორციელებული, გამარტივებული შესყიდვა დაშვებულია სტიქიური უბედურებების სასწრაფო ლიკვიდაციისთვის, ამ პროექტში კი საუბარია ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემის მოგვარებაზე. ფიჭვის ხე რომ გაიზარდა, ეს სტიქიური უბედურებაა? სწორედაც ფიჭვის ხის ზრდა ჩათვალეს სტიქიურ უბედურებად და ტენდერის გარეშე გადასცეს 47.449 ლარი 15 ძირი მცენარის მოსაჭრელად.

***— სხვათა შორის, გამგებელი ამ ბრალდებას უარყოფს...***

— გამგებლის უარყოფა ერთია და რეალობა — მეორე. კონკრეტული შესყიდვის შემთხვევაში დღესავით ნათელია კორუფციული ინტერესი, ამისთვის არაა საჭირო იურისტობა, ან გნებავთ დედუქციური ნიჭის აუცილებლობა, საკმარისია ფაქტების გაცნობა და სახეზეა ღია და აშკარა კორუფცია, თანხების „ატკატები“. მკითხველმა განსაზღვროს, მე ფაქტები მოგაწოდეთ!

# დუშეთის ქუჩებში მოხეტიალე შინაური პირუტყვის პატრონს 50 ლარით დააჯარიმებენ



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, სკვერებში, სასაფლაოებზე და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში უმეთვალყურეოდ გაშვებულ შინაურ პირუტყვს დაიჭერენ და სპეციალურ თავშესაფარში გადაიყვანენ. მეპატრონეს პირუტყვის გამოსახსნელად 50 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს, თავშესაფარში ერთი სული საქონლის ერთი დღით გაჩერება კი 10 ლარი ღირს, — იუწყება მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკრებულომ 22 აგვისტოს სხდომაზე მიიღო. საკრებულოს თავმჯდომარე ცარო საძაგლიშვილი დუშეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ გაშვებული პირუტყვის პატრონისთვის 10-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ინიციატივით გამოვიდა. საკრებულოს თავმჯდომარის წინადადება საკრებულოს რიგითმა წევრმა ზურაბ ოტიაშვილმა გააპროტესტა:

— ჯარიმა სასაცილო თანხა არ უნდა იყოს. ჩემი აზრით, მინიმუმ 50 ლარიანი ჯარიმა უნდა დაწესდეს. თავშესაფარში საქონლის შენახვა ერთი დღის განმავლობაში კი შესაძლოა, 10 ლარი იყოს. არ შეიძლება ქალაქის ცენტრში ძროხები 6 ათას ლარიან გაზონს ჭამდნენ, — განაცხადა ოტიაშვილმა.

ოტიაშვილის ინიციატივა საკრებულოს დანარჩენმა წევრებმაც მოიწონეს და გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს.

როგორც მცხეთა — მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ცარო საძაგლიშვილმა განუმარტა, ქალაქის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ გაშვებული შინაური პირუტყვის დაპატიმრება„ და სპეციალურ სადგომში გადაყვანა რომელიმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს დაეკისრება, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდება.

საკრებულოში აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი კვირის განმავლობაში, ახალი წესის შემოღების შესახებ, მოსახლეობას ინფორმაცის დუშეთის ტელევიზიის და გაზეთ „დუშეთის მაცნეს“ საშუალებით გააცნობენ.

**მედიანიუსი**

# 1,10 სმ სიგრძის მილის ჩაბარებისთვის მეწარმე 3000 ლარით დააჯარიმეს

**შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში, შპს „ხალიხების“ მფლობელი აკაკი ხარაშვილი 150 მმ დიამეტრის 1,10 სმ სიგრძის მილის ჩაბარებისთვის 3000 ლარით დააჯარიმა.**




პოლიციის თანამშრომლის განცხადებით, აკაკი ხარაშვილი ჯართის მიღებას კანონით დადგენილი წესების დარღვევით აწარმოებდა. კერძოდ, 150 მმ დიამეტრის მილის ჩაბარება ჯართში აკრძალულია.

აკაკი ხარაშვილმა დაჯარიმების ოქმი ჯერ თელავის რაიონულ, ხოლო შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

სასამართლო პროცესზე მეწარმემ აღნიშნა, რომ მას მილი ჯართში ჩასაბარებლად ერთ-ერთმა გლეხმა მიუტანა.

— სახლში ჰქონდა ძველი მილის ნაჭერი შემორჩენილი, უჭირდა, პურის ფული არ ჰქონდა, ეზოში რკინები მოაგროვა და ჩააბარა. მერე მოვიდა პოლიციელი და 3000 ლარიანი ოქმი გამომიწერა. შეეძლო 1000 ლარიანი ჯარიმა გამოეწერა, მაგრამ უარი თქვა, — განაცხადა შპს „ხალიხების“ მეპატრონემ.

მეწარმე ოქმის ბათილად ცნობას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მანანა ჩოხელის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 179 მე-2 მუხლის თანახმად, შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შეძენის, ტრანსპორტირების, გაყიდვის ან ჩაბარების დადგენილი წესის დარღვევა, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 3000 ლარამდე, შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების კონფისკაციით.

— შავი და ფერადი ლითონების ჯართის, შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ 2007 წლის 2 თებერვლის 85-ე ბრძანებულების პირველი მუხლის მე-3 ნაწილში ჩამოთვლილია ნივთები, რომელთა მიღება - ჩაბარება დაუშვებელია, ესენია მილები, რომლებიც მეტია 100 მმ-ზე დიამეტრის. აკაკი ხარაშვილს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია დაჯარიმების ოქმში მითითებული გარემოებებისგან განსხვავებული, სხვა გარემოებების დამადასტურებელი, აგრეთვე დარღვევის ჩადენაში მისი ბრალის გამომრიცხავი მტკიცებულებები. საჩივარი დაუსაბუთებელი იყო და არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით, — ნათქვამია თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილებაში.

კახეთში ბოლო ორი თვეა მკვეთრად შეინიშნება საგადასახადო ინსპექტორების გააქტიურებაც. საგადასახადო ინსპექტორები მაღაზიებში უკვე ბავშვებს და ორსულებს აგზავნიან. მათი მოქმედების სქემა ყველა რაიონში იდენტურია — ისინი ჯერ გამყიდველს აბნევენ, შემდეგ კი ქვითრის არამორტყმის გამო 500 ლარიან ჯარიმას უწერენ.

მაგალითად, ერთ-ერთ პურსაცხობში, სადაც მხოლოდ 2 ადამიანი მუშაობს, ერთი თონეში პურს აკრავდა, ხოლო მეორე ცომს ზელდა, შევიდა ახალგაზრდა კაცი, ერთი პური აიღო, მაგიდაზე დადო 60 თეთრი და გავიდა. 2 წუთში შევიდნენ საგადასახადო ინსპექტორები და პურსაცხობის მეპატრონესთან შეხვედრა მოითხოვეს. მივიდა მეპატრონე და 500 ლარით დააჯარიმეს, სალარო აპარატს არ იყენებო.

ამავე მიზეზით მაღაზიებიც დააჯარიმეს.

— შემოვიდა პატარა ბავშვი, სხვაგან ორსული ქალი შევიდა. ბავშვმა იყიდა კევი, ფული მომცა წინასწარ და სანამ ჩეკს ამოვარტყამდი, უკვე საგადასახადო ინსპექტორები დამადგნენ და 500 ლარით დამაჯარიმეს, — ამბობს თელავში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის გამყიდველი.

მეწარმეების უმრავლესობა დაჯარიმების ოქმს სასამართლოში არ ასაჩივრებს. ამას იმით ხსნიან, რომ რეგიონში არ არსებობს პრეცედენტი, მეწარმეს საგადასახადოს წინააღმდეგ სასამართლოში დავა მოეგო.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 4 832 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა

2011 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 4 832 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, ეს წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 36 პროცენტით აღემატება. აქედან ექსპორტი 1 187 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 37 პროცენტით მეტია, ხოლო იმპორტი — 3 645 მილიონი აშშ დოლარი, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 36 პროცენტით აჭარბებს.

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2011 წლის იანვარ-ივლისში 2 459 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მონაცემებს 35 პროცენტით აღემატება.

ამავე ცნობით, 2011 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1 228 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 32 პროცენტით აღემატება. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან კი საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი 1 641 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც 2010 წლის იანვარ-ივლისთან შედარებით 42 პროცენტით მეტია.

**მედიანიუსი**

## „საქართველოს ფოსტიდან“ თანამშრომლები მასობრივად გაათავისუფლეს

შპს „საქართველოს ფოსტიდან“ რეორგანიზაციის მიზეზით თანამშრომლები მასობრივად გაათავისუფლეს. მარტო კახეთში 100-ზე მეტი თანამშრომელი დაითხოვეს, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

„ძირითადად სოფლებში მომუშავე ფოსტალიონები გაათავისუფლეს. რაიონულ ქვეგანყოფილებებში სამი შტატი დარჩა: ქვეგანყოფილების უფროსის, კურიერის, რომელიც ქალაქში დაატარებს გზავნილებს და დამლაგებლის. სოფლებს მანქანა მოემსახურება, რომელიც სათაო ოფისს ექვემდებარება“, — აღნიშნა „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენელმა მარიკა თევდორაშვილმა

**მედიანიუსი**

## რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებას საქართველოს ხელისუფლება აფერხებს


გენადი ონიშჩენკო

„როსპეტრებნადზორის“ მტკიცებით, რუსულ ბაზარზე ქართული ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების დაბრუნებას საქართველოს ხელისუფლება აფერხებს.

როგორც აღნიშნული უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაში არის ნათქვამი, ქართული მხარის თხოვნით, მიმდინარე წლის 26 აგვისტოს ხსენებულ უწყებაში პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავასთან შეხვედრა იგეგმება, რომელიც სწორედ რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებას შეეხება. ეს ბოლო ორ თვეში მხარეებს შორის დაგეგმილი რიგით მეორე შეხვედრაა.

— ეს კი ადასტურებს როსპოტრებნადზორის თანმიმდევრულობას, რომელიც საქართველოდან ღვინისა და სხვა პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებისა და ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისაკენ არის მიმართული. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როცა საქართველოს ბიზნესსაზოგადოება ვითარების დარეგულირების გზებს ეძებს და პროფესიონალურ სიბრტყეში მიწოდების აღდგენის მზადყოფნას გამოთქვამს, საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა და მოწოდებები კონსტრუქციული დიალოგის განვითარების ხელშეწყობის სურვილის არარსებობასა და გაუგებრობას ადასტურებს, — ნათქვამია გენადი ონიშჩენკოს უწყების ოფიციალურ განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი კვლავ თურქეთია

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად კვლავ თურქეთი რჩება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში აღნიშნულ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ 805 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 525 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე — უკრაინა 482 მილიონი აშშ დოლარით.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ათეულში ასევე არიან: ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, აშშ, ყაზახეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები და სომხეთი. მათმა წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67 პროცენტი შეადგინა.

**მედიანიუსი**

## წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის შენობა იყიდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ შპს „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100-პროცენტიანი წილი გაიტანა.

სამინისტროს ინფორმაციით, ობიექტი თბილისში, გამსახურდიას გამზირის №24-ში მდებარეობს. მისი დებიტორული დავალიანება 21 017, კრედიტორული კი 5 667 ლარია. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასია 340 000 ლარი. ელექტრონული აუქციონი 25 აგვისტოს გაიმართება.

**მედიანიუსი**

## სტიქიისგან დაზიანებული კორპუსები საცხოვრებლად საშიში არ არის

ლაგოდეხში, ზაქათალის ქუჩაზე მდებარე სტიქიისგან დაზიანებული ორი კორპუსი საცხოვრებლად საშიში არ არის, აცხადებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი დიმიტრი ლოლაძე.

— ლაგოდეხში, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებმაც საერთო საცხოვრებლები შეამოწმეს. მათი თქმით, ეს შენობები საცხოვრებლად მდგრადია, მყარად დგას და საფრთხე არ ემუქრება. შენობების ვარგისიანობის შესახებ ექსპერტები საბოლოო დასკვნას დღის ბოლომდე დადებენ. მათი თანხმობის შემდეგ კი კორპუსებიდან ევაკუირებული 70 ოჯახი საკუთარ სახლებს დაუბრუნდება, — აღნიშნა დიმიტრი ლოლაძემ.

შეგახსენებთ, რომ 21 აგვისტოს, ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებული მდინარე შრომის ხევი კალაპოტიდან გადავარდა და კორპუსების დანგრევის საფრთხე შექმნა. მდინარემ სარდაფები დატბორა, ეზოდან 8 ავტოფარეხი წაიღო, კორპუსების პირველ სართულზე მიშენებული „ლოჯიები“ კი დაანგრია.

**მედიანიუსი**

## ზარალი ლაგოდეხში 5 მილიონამდე გაიზარდა

სტიქიისგან მიყენებული ზარალი ლაგოდეხში 3-დან 5 მილიონამდე გაიზარდა. ამის შესახებ რადიო „ჰერეთს“ ლაგოდეხის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ კაკალაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, მხოლოდ ერთი მილიონი ლარია საჭირო იმისთვის, რომ საავადმყოფომდე მისასვლელი გზა პირვანდელ სახეს დაუბრუნდეს.

გარდა ამისა, გასაწმენდია მდინარეები: ლაგოდეხის, შრომის, ნინოს, გურგენიანის, არეშის და თამარიანის ხევები.

— რაც შეეხება სოფელ რაჭისუბანს, იქ მიმოსვლა უკვე აღდგენილი. მუშაობა მიმდინარეობს ლაგოდეხი-მაწიმის დამაკავშირებელ, დაზიანებული გზის აღდგენაზეც“, — ამბობს ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, გურამ კაკალაშვილი.

**მედიანიუსი**

## სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონი გაიმართა

საქართველოს ეროვნული ბანკის 182-დღიან 34, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე 25 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. ფასიანი ქაღალდები შეიძინა სამმა კომერციულმა ბანკმა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.84%-ით, მაქსიმალური 7.96%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.94%-ით განისაზღვრა.

**მედიანიუსი**

## ანსამბლი „გურჯაანი“ მსოფლიო ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატი გახდა

ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „გურჯაანი“ მსოფლიო ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატი გახდა. ფესტივალში 44 ქვეყანა მონაწილეობდა და ღონისძიებები 27 ივლისიდან 17 აგვისტომდე იტალიის სამ რეგიონში იმართებოდა.

ანსამბლის დირექტორის პაატა გურგენიძის თქმით, გარდა იმისა, რომ გრანპრი მოიპოვეს, ფესტივალის ყველაზე სიმპათიური ანსამბლის წოდებაც მიიღეს.

„ყველაზე საუკეთესო ანსამბლის დიპლომიც ჩვენ გადმოგვცეს. ანსამბლ „გურჯაანის“ გამარჯვება ფესტივალის ყველა მონაწილემ ერთხმად აღიარა. ფესტივალის ორგანიზატორებმა ჩვენი იქ ყოფნის დროს კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციას სამადლობელი წერილი გამოუგზავნეს“, — განუცხადა პაატა გურგენიძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ანსამბლ „გურჯაანს“ უკვე რამდენიმე მიწვევა აქვს, მათ შორის საფრანგეთიდან, აშშ-დან და არგენტინიდან.

**მედიანიუსი**

## გურჯაანში რთველის შტაბი გაიხსნება

გურჯაანის რაიონში რთველის შტაბი გაიხსნება. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, აქ გლეხებს საშუალება ექნებათ 24 საათიან რეჟიმში მიიღონ ინფორმაცია ყურძნის ჩამბარებელი პუნქტების შესახებ.

კახეთში რთველისთვის უკვე ემზადებიან. მოსავლის აღება ხვალიდან უნდა დაიწყოს. რეგიონში 120 000 ტონაზე მეტ ყურძენს ელოდებიან.

კახეთში ყურძნის ჩაბარებაზე 27 პუნქტი იმუშავებს,მოსავლის მიღება 20-ზე მეტ ქარხანაში მოხდება.

**მედიანიუსი**

## საქართველოდან მინერალური წყლების ექსპორტი გაიზარდა

საქართველოდან მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, 2010 წლის იანვარ-ივლისში ქვეყნიდან უცხოეთის ბაზარზე 21 928,8 ტონა აღნიშნული პროდუქცია გაიტანეს. მისი ღირებულება 10 214,5 ათასი აშშ დოლარი იყო.

მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში კი საქართველოდან ექსპორტირებული მინერალური და მტკნარი წყლების ღირებულებამ 14 404,2 ათასი აშშ დოლარი, ხოლო მოცულობამ 28 629,1 ტონა შეადგინა.

**მედიანიუსი**

## საქართველოსა და ინდოეთის მთავრობებმა შეთანხმება გააფორმეს

ქალაქ ნიუ დელიში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ.

საქართველოს მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა ინდოეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ზურაბ კაჭკაჭიშვილმა, ხოლო ინდურ მხარეს წარმოადგენდა ინდოეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს პირდაპირი გადასახადების ცენტრალური საბჭოს დავმჯდომარე, მ.ჩ. ჯოში.

როგორც საქართველოს საგარეო უწყებაში აცხადებენ, აღნიშნული შეთანხმება ხელს შეუწყობს ინდოეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, წაახალისებს ინვესტიციებს და უზრუნველყოფს ორი ქვეყნის საგადასახადო უწყებებს შორის ინფორმაციის ეფექტურ გაცვლას.

**მედიანიუსი**

# სტურუას გათავისუფლება ახალი სტანდარტების დამკვიდრებაა

პოლიტოლოგი გია ნოდია შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტიდან რობერტ სტურუას გათავისუფლებას „ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი სტანდარტების დამკვიდრებად“ აფასებს.



რადიო „თავისუფლების“ ევროპული ბიუროს მიერ გამოქვეყნებულ წერილში ნოდია აღნიშნავს, რომ „პოპულარული ფიგურის სამსახურიდან ქსენოფობიური განცხადებების გამო გათავისუფლება სახელმწიფო მოხელეებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ახალ სტანდარტებს ამკვიდრებს და მთავარი არა მხოლოდ სტურუას ოპოზიციური შეხედულებები, არამედ მოქმედ ხელისუფლებასა და იმ ფენას შორის ურთიერთობაა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს კულტურისა და სამეცნიერო სფეროს ინტელიგენციად იწოდებოდა“.

„მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი და მისი ახალგაზრდა გუნდი ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, ინტელიგენციის ნაწილმა ქვეყნის მორალური ლიდერის სტატუსი დაკარგა. თუ მოდერნიზებული ხელისუფლება დასავლურ ღირებულებებთან იდენტიფიცირდება, სადაც ეთნიკური ნიშნით განქიქება სირცხვილია, პოსტსაბჭოთა ინტელიგენციის ლიდერებისთვის ეთნიკური ფესვები მთავარი თემაა. ამ ლიდერებისთვის სააკაშვილის „პატრიოტიზმის დეფიციტი“ მისი სომხური წარმომავლობითაა ახსნილი“, — წერს ავტორი.

ამასთან, გია ნოდია „უცნაურს“ უწოდებს იმ გარემოებას, რომ „კულტურის მინისტრს თვენახევარი დასჭირდა რობერტ სტურუას მიმართ თავისი დამოკიდებულების ფორმულირებისთვის“.

მისი აზრით, „მას ბევრი დრო არ უნდა დასჭირვებოდა, რადგან სტურუას განცხადებების ბუნება თავიდანვე ცხადი იყო“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კულტურის მინისტრ ნიკა რურუას ბრძანების საფუძველზე რობერტ სტურუა თანამდებობიდან 15 აგვისტოს გაათავისუფლეს.

**პირველი**

# გაათავისუფლეთ ადვოკატი რომან პაპიძე!

ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია ადვოკატ რომან პაპიძის დაკავების გამო შეშფოთებას გამოთქვამს და საქართველოს ხელისუფლებას მისი სასწრაფო გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.



როგორც ორგანიზაციის მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი წარგზავნილ მიმართვაშია აღნიშნული, „მიმდინარე წლის 28 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატ რამინ პაპიძეს, რომელიც კლიენტების ინტერესებს იცავდა, სასამართლო დარბაზში ჩადენილი ვითომდა ცუდი საქციელის გამო 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯა, ამჟამად იგი ბათუმის საქალაქო სასამართლოში წინასწარი დაკავებით იმყოფება და შიმშილობას აცხადებს“.

— გავრცელებული ინფორმაციით, მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვნად ეყრდნობა სასამართლოს ბოქაულების განცხადებებს და არ ითვალისწინებს სასამართლო დარბაზში წარმოდგენილ სხვა მოწმეთა ჩვენებებს. გარდა ამისა, პაპიძეს არ მისცეს საკმარისი დრო, რათა ადეკვატურად მომზადებულიყო თავის დასაცავად. დაკავებამდე პაპიძე რამდენჯერმე იქნა დაჯარიმებული სასამართლო საქმის წარმოების განმავლობაში, რომელიც აღძრული იყო მისი კლიენტების წინააღმდეგ 21 მაისს მომხდარი პროტესტის გამო. მიღებული მტკიცებულებების თანახმად ნათელი ხდება, რომ პაპიძე, რომელიც მოქმედებდა, როგორც სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებადდ მიჩნეული პიროვნებების წარმომადგენელი ადვოკატი, ზემოთ აღნიშნულ დაჯარიმებასა და დაკავებასთან ერთად სხვადასხვა ფორმის რეპრესიული ზომების მსხვერპლი გახდა“, — ნათქვამია მიმართვაში. ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია საქართველოს ხელისუფლებას შეახსენებს, რომ „ადვოკატების დამოუკიდებლობა დემოკრატიის და სამართლებრივი ნორმების ეფექტურობის ძირითადი განზომილებაა, ხოლო სიტყვის თავისუფლება არსებითი ფაქტორია ადვოკატებისათვის თავიანთი პროფესიული პრაქტიკის განხორციელებაში და კლიენტების უფლებების შედეგიანად დაცვისათვის“.

ობსერვატორია ხელისუფლებას რამდენიმე მოთხოვნას უყენებს, კერძოდ □ „დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს რომან პაპიძე, მიუკერძოებლად გამოიძიოს მისი საქმე, პაპიძეს პროფესიული ფუნქციების თავისუფლად და სრულად განხორციელებაში ხელი არ შეეშალოს, უზრუნველყოს, რომ საქართველოში ადვოკატები მოვალეობებს ნებისმიერ პირობებში თავისუფლად და დამოუკიდებლად ახორციელებდნენ, ადვოკატთა წინააღმედგ დისციპლინარული საქმის წარმოება მიუკერძოებელი დისციპლინარული კომიტეტის წინაშე იქნას წარდგენილი, რომელიც იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისგან შედგება, ასევე უზრუნველყოს ადვოკატების მიერ პროფესიული ფუნქციების დაშინების, დაბრკოლების, შევიწროების ან არასათანადო ჩარევის გარეშე განხორციელება“.

**პირველი**

# მასწავლებელთა სააპელაციო განაცხადების მიღება დასრულდა

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების სააპელაციო განაცხადების მიღება დასრულდა. როგორც „მედიანიუსს“ გამოცდების ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, ტესტურ დავალებებში მიღებული შეფასებები თბილისის მასშტაბით 1200-მდე პედაგოგმა გაასაჩივრა.

რეგიონებიდან სრული ინფორმაცია კი ცენტრს ხვალისთვის ექნება.

შეგახსენებთ, რომ საპრეტენზიო განაცხადების მიღება 18 აგვისტოს დაიწყო და 23 აგვისტოს დასრულდა. სააპელაციო განაცხადები თბილისში ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში, რეგიონებში კი ყველა რაიონულ რესურსცენტრში მიიღებოდა.

სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილე მასწავლებლებს ერთი ან რამდენიმე ტესტური დავალების შეფასების გასაჩივრება შეეძლოთ. ერთი გამოცდის გასაჩივრების საფასურია 50 ლარი. პირებს, რომლებსაც აპელაციის შედეგად შეფასება შეეცვლებათ, გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდებათ.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები მიმდინარე წლის ივლისში ერთიანი ეროვნული გამოცდების პარალელურად შემდეგ საგნებში ჩატარდა: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხოური ენები, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება და პროფესიული უნარები.

**მედიანიუსი**

# დუშეთში ქუჩებს სახელწოდებები ეცვლებათ

დუშეთში ლენინის, სტალინის, 1905 წლის რევოლუციის, ოქტომბრის რევოლუციის, კომპარტიისა და ბოლშევიკური ეპოქის მოღვაწეთა სახელობის ქუჩებს სახელწოდებები ეცვლებათ. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, სახელის შეცვლა სულ 34 ქუჩისთვის იგეგმება.

ქალაქის მთავარ მაგისტრალს — სტალინის ქუჩას დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭება.

**პირველი**

# ჯონ მაკკეინი: „რაც ლიბიაში მოხდა, რუსეთის ხელისუფლებისთვის გაკვეთილი უნდა იყოს“



ამერიკელ სენატორ ჯონ მაკკეინის განცხადებით, „რაც ლიბიაში მოხდა, რუსეთის ხელისუფლებისთვის გაკვეთილი უნდა იყოს“.

აღნიშნული განცხადება მაკკეინმა ტელეკომპანია „ფოქს ნიუსთან“ საუბრისას გააკეთა.

„ისეთ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი და ჩინეთია, ყველაფერი მშვიდად არ არის, ხალხს თავისუფლება სურს და სწორედ ამ თავისუფლებას მიაღწიეს ლიბიელებმა“, — აცხადებს მაკკეინი.

ამასთან, მაკკეინი დარწმუნებულია, რომ „არაბული რევოლუციები მთელს მსოფლიოს მოედება და დღეს ნებისმიერ დიქტატურას საფრთხე ემუქრება“.

ცნობისთვის, რუსეთთან დაკავშირებით ჯონ მაკკეინმა მსგავსი გამაფრთხილებელი განცხადება ეგვიპტეს რევოლუციის დროსაც გააკეთა.

**პირველი**

# აბაშაში მარცვლეული კულტურების შესანახი ცენტრის მშენებლობა მალე დასრულდება



აბაშაში მარცვლეული კულტურების შესანახი ცენტრის მშენებლობა სიმინდის მოსავლის აღებამდე დასრულდება. მშენებლობა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ბაკურ კვეზერელმა დაათვალიერა და არსებული მდგომარეობა ადგილზე შეამოწმა.

ბაკურ კვეზერელის თქმით, მარცვლეული კულტურების შესანახი ცენტრების მშენებლობა ფერმერებს და გლეხებს უფრო მეტი შემოსავლის მიღების საშუალებას მისცემს. მათ საშუალება ექნებათ მოსავალი შეინახონ და მათთვის ხელსაყრელ დროს მოახდინონ მარცვლეულის რეალიზაცია.

მარცვლეული კულტურების შესანახი ცენტრები, თანამედროვე იტალიური ტექნოლოგიების გამოყენებით შენდება.

**მედიანიუსი**

# შვეიცარიის პროფესორები გელათის აკადემიაში სემინარს გამართავენ

გელათის აკადემიაში კულტურული მემკვიდრეობის სფეროს წამყვანი სპეციალისტები შეიკრიბებიან, რომლებიც ძეგლთა დაცვისა და აღდგენის სფეროში ქვის კოსერვაციის, როგორც დარგის ერთ-ერთი ურთულესი პროცესის თანამედროვე მეთოდოლოგიურ ხედვებს უცხოელი კოლეგებისგან მოისმენენ.



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და ორგანიზებით დღეს გელათის აკადემიაში შვეიცარიის ლუგანოს უნივერსიტეტის პროფესორები — ჯოვანი კავალო და სტეფანო ვოლტა, ქართველი რესტავრატორებისთვის ქვის კონსერვაციის თემაზე სემინარს გამართავენ და ადგილზე გააცნობენ იმ ჩატარებულ სამუშაოებს, რომელიც გელათის არქიტექტურულ ანსამბლში განხორციელდა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტი და ლუგანოს უნივერისტეტი მეორე წელია ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით პროგრამას ახორციელებენ, რომელიც ერთის მხრივ, სამხატვრო აკადემიაში ქვის კონსერვაციის სასწავლო კურსის დანერგვას და მეორე მხრივ, ქართველ სპეციალისტებთან და სტუდენტებთან ერთად, კონკრეტულ პროექტებზე ერთობლივი სამუშაოების განხორციელებას გულისხმობს.

ამჟამად ჯოვანი კავალო და სტეფანო ვოლტა ქართველ სტუდენტებთან ერთად, გელათის წმ. გიორგის ეკლესიის კარის ორნამენტის კონსერვაციაზე მუშაობენ. მათივე მეთოდოლოგიური ზედამხედველობით ხორცილდება გელათის არქიტექტურულ ანსამბლში შემავალ ნაგებობათა ქვის კონსერვაცია, რომელსაც ქართველი სპეციალისტები ლუგანოს უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილებით ახორციელებენ.

**მედიანიუსი**

# დედოფლისწყაროს რაიონში რთვლის დაწყება ერთი კვირით გადაიდო

დედოფლისწყაროს რაიონის ალაზნისპირა სოფლებში ყურძნის დაბალი შაქრიანობის გამო რთველის დაწყება ერთი კვირით გადაიდო.

„წვიმების გამო შაქრიანობა დაბალია და რთველის დაწყება გადავდეთ. თუ კარგი ამინდები გამოვა, რთველს ერთ კვირაში დავიწყებთ“, — განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა.



სამთაწყაროსა და ფიროსმანში 900 ტონამდე საფერავის და 500 ტონამდე რქაწითელის მოსავალს ელოდებიან.

გამგებლის ინფორმაციით, ალაზნისპირა სოფლებიდან მევენახეები ყურძენს სიღნაღის რაიონში, წნორის ღვინის ქარხანაში ჩააბარებენ.

**მედიანიუსი**

# სასარგებლო მცენარეები

**ბაბუაწვერა** — მწვანე აფთიაქის ერთერთი გამორჩეული მცენარეა. მისი წვენით უძველეს დროში ჭორფლის მოცილებას ცდილობდნენ. სამკურნალოდ მისი ფესვი გამოიყენება. ფესვში არსებულ რძისებურ სითხეში ყველაზე დიდი რაოდენობით არის ის სასარგებლო ნივთიერებები, რომლებიც ბაბუაწვერას სამკურნალო თვისებებს ანიჭებს: რკინა, კალციუმი, ფოსფორი, კალიუმი, ვიტამინები და პროტეინები.

ბაბუაწვერას ფესვის ნაყენი და ნახარში აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მოქმედებას, მადას, ახშირებს ნაწლავთა მოქმედებას. ბაბუაწვერა საუკეთესო საფაღარათო საშუალებად არის მიჩნეული. ის უნდა მიიღოთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. თუ დიარეისკენ ხართ მიდრეკილი, ამ ნაყენის დალევა თქვენთვის სასურველი არ არის. მისი ნაყენი ეფექტურია ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, გასტრიტისა და კოლიტის დროს.



ბაბუაწვერას ფესვი გამოგადგებათ ანემიის, მეტისმეტი სიგამხდრის, ნიკრისის ქარის (პოდაგრის) დროსაც. თუ ბაბუაწვერას შეგროვება გადაწყვიტეთ, მისი ფესვები პატარა ნიჩბით ფრთხილად უნდა ამოთხაროთ, მოაჭრათ ღერო და ფესურები, ცივი წყლით გარეცხოთ, დასეროთ, რამდენიმე დღით ჩრდილში დააწყოთ და დაელოდოთ, ვიდრე რძისფერი სითხე მთლიანად გამოჟონავს. ამის შემდეგ, გასაშრობად ისე გაშალეთ, რომ ერთმანეთზე არ ეწყოს. კარგად გამომშრალი ფესვი იოლად უნდა ტყდებოდეს. მზა ნედლეული ქაღალდის პაკეტსა და მინის ქილაში 5 წლის განმავლობაში შეგიძლიათ შეინახოთ.

დაამზადეთ ბაბუაწვერას ნაბენი ასე: 2 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ფესვს დაასხით ერთი ჭიქა ცივი წყალი და 8 საათის განმავლობაში დააყენეთ, შემდეგ 5-10 წუთით ცეცხლზე შედგით, გაფილტრეთ და ყლუპობით სვით დღის განმავლობაში.

არანაკლებ სასარგებლოა ბაბუაწვერას „თაფლი". მის მოსამზადებლად დაგჭირდებათ 200 გრამი ყვავილი, რომელსაც წინასწარ უნდა მოაცილოთ ყვავილსაჯდომს. გარეცხოთ, დაასხათ 1,5 ლიტრა მდუღარე წყალი, თავდახურულ ჭურჭელში ჩაყაროთ და რამდენიმე დღე-ღამით დატოვოთ. შემდეგ გაწუროთ, დაამატოთ 2 ლიმონის წვენი, 1,5 კგ შაქარი და ხარშოთ, ვიდრე არ შესქელდება. დროდადრო აუცილებლად უნდა მოურიოთ. ბაბუაწვერას თბილი სიროფი უნდა ჩაასხათ ქილებში, დაახუროთ ხუფი და შეინახოთ გრილ, ბნელ ადგილას. მისი სტერილიზაცია საჭირო არ არის.

*თიკო ნინიაშვილი*

# პედაგოგებს პოლიტიკური ნიშნით ადანაშაულებენ

ლეიბორისტული პარტია ქობულეთის რაიონის სოფელი აჭყვისთავის საჯარო სკოლის დირექტორს და განათლების სამინისტროს სამი პედაგოგის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაში ადანაშაულებს.

ლეიბორისტული პარტიის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარის დავით რობაქიძის განცხადებით, დები ჯაფარიძეები სკოლიდან მხოლოდ და მხოლოდ მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო გაუშვეს.

— განათლების სამინისტროსგან მოვითხოვეთ ინფორმაცია, თუ რის საფუძველზე მოხდა ამ პედაგოგების გათავისუფლება, თუმცა პასუხი ვერ მივიღეთ, — განცხადა რობაქიძემ.

პრესკონფერენციაზე მყოფი პედაგოგების თქმით, მათ სიტუაციაში გასარკვევად აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძესაც მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

როგორც დებმა ჯაფარიძეებმა აღნიშნეს, სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზად სამუშაო საათების გაცდენა დაუსახელეს რაც სრულიად უსაფუძვლო ბრალდებაა.



*მედიანიუსი*

# უსინათლოებს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი საქართველოს კონსტიტუცია დაურიგდათ

უსინათლოთა კავშირის წევრებს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი საქართველოს კონსტიტუცია გადაეცათ. ყველა უსინათლო აღნიშნულ წიგნს საჩუქრად მიიღებს.

კონსტიტუცია უსინათლოთა კავშირს კონსტიტუციონალიზმის ცენტრის ხელმძღვანელმა ავთანდილ დემეტრაშვილმა გადასცა.

წიგნების გადაცემის შემდეგ დემეტრაშვილმა კონსტიტუციის მნიშვნელობასა და ბოლო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა.

კონსტიტუცია ბრაილის შრიფტით კონსტიტუციონალიზმის ცენტრის ინიციატივითა და დაფინანსებით დაიბეჭდა.

*მედიანიუსი*

# საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავეს

2011 წლის იანვარ-ივლისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა და 272 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ეს კი მთელი ექსპორტის 23 პროცენტია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, მეორე ადგილზეა ფეროშენადნობების ექსპორტი, რამაც 146 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში 12 პროცენტი იყო. მესამე პოზიცია შავი ლითონების ჯართს უჭირავს. მისი ექსპორტი 89 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი ექპორტის 8 პროცენტია.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2011 წლის იანვარ-ივლისში კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო. მისმა იმპორტმა 458 მილიონი აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 13 პროცენტი შეადგინა. მეორე პოზიციაზეა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 206 მილიონი აშშ დოლარით, რაც იმპორტის 6 პროცენტია. მესამე პოზიცია კი ნავთობის აირებსა და აირისებრი ნახშირწყალბადების ჯგუფს უჭირავს 150 მილიონი აშშ დოლარითა და მთელი იმპორტის 4 პროცენტით.

*მედიანიუსი*

# „ბრავო რექორდსმა" საავტორო უფლებათა ასოციაციასთან ხელშეკრულება გააფორმა

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასა და „ბრავო რექორდსს" შორის სალიცენზიო შეთანხმება გაფორმდა.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე გიგა კობალაძემ და „ბრავო რექორდსის" დამფუძნებელმა ზაზა შენგელიამ.

ლიცენზიის საფუძველზე, „ბრავო რექორდსის" მიერ გამოშვებული პროდუქცია საავტორო ლიცენზიით იქნება დაცული, ყოველი გამოცემისას საავტორო ჰონორარი იქნება გადახდილი, რასაც ასოციაციის მეშვეობით ავტორები მიიღებენ, — აცნობეს „მედიანიუსს" საავტორო უფლებათა ასოციაციაციიდან.

როგორც საავტორო უფლებათა ასოციაციაში აცხადებენ, მათი მიზანია ლიცენზირებულმა პროდუქციამ ჩაანაცვლოს მდარე ხარისხის, უკანონოდ გამოშვებული არალიცენზირებული პროდუქცია საქართველოში, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქართული ბაზარიდან მეკობრული პროდუქციის განდევნას და ლიცენზირებული პროდუქციის რეალიზაციას.

*მედიანიუსი*

# „ახალი ხედვა — საქართველო" რობერტ სტურუას წინააღმდეგ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ხედვა — საქართველო" შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის რობერტ სტურუას მისამართით კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამს.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, „ახალი ხედვა — საქართველო" აქტიურად მუშაობს უმცირესობების ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების საკითხებზე და აუცილებლად მიიჩნევს, დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან, კერძოდ, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის გამონათქვამებთან დაკავშირებით, რომელიც ქსენოფობიურ ელემენტებს შეიცავდა".

მათივე თქმით, „ქსენოფობიური რიტორიკა და სიძულვილის ენა ქვეყანაში მიმდინარე შიდა პროცესებზე ნეგატიურად აისახება, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას აფერხებს და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს ლახავს, მითუმეტეს, როდესაც მსგავსი განწყობების ტირაჟირებას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მქონე ადამიანები ეწევიან".

„მივიჩნევთ, რომ მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით, მიუხედავად კონკრეტული პიროვნებების დამსახურებისა, სახელმწიფომ, ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებამ

მყისიერი რეაგირება უნდა მოახდინონ",- აცხადებენ "ახალი ხედვა - საქართველოში" და დასძენენ, რომ "ცივილიზებული სამყარო დიდი ხანია, თანხმდება, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და დაუშვებელია მათი ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით დაყოფა, საქართველო კი იზიარებს ამ ღირებულებებს და მათი დაცვის გარანტად ქვეყნის კონსტიტუცია გვევლინება".

შეგახსენებთ, რომ რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით, ოფიციალურად 15 აგვისტოდან გათავისუფლდა.

მინისტრის განცხადებით, „სახელმწიფო, რომელიც მოცემულობით მულტიეთნიკური და მულტიკულტურულია, ქსენოფობიას ვერ შეეგუება და ვერ დააფინანსებს".

„ქსენოფობიაში ის გამონათქვამები და ეთნიკური მეტაფორები იგულისხმება, რომელსაც სტურუა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების დროს იყენებდა. მიმაჩნია, რომ ტირაჟირებულ ქსენოფობიას დემოკრატიულ ქვეყანაში მწვანე შუქი არ უნდა აენთოს, მით უმეტეს, რომ ეს საქართველოს თავის თავზე ერთხელ უკვე ნაგემი აქვს. ერების დაყოფა კარგად და ცუდად, ადამიანების დაყოფა კლასებად — ეს იყო ის, რასაც თავის დროზე ბოლშევიკები აკეთებდნენ და ეს იცის სტურუამ, რომელიც იცნობდა ბოლშევიკებს. ამას აკეთებდნენ თავის დროზე ნაცისტებიც", — განაცხადა რურუამ.

თავად სტურუა კი მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს უარყოფს.

*პირველი*


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

● ქირავდება კეთილმოწყობილი ბინა საბურთალოზე, 8(8), ავეჯით, სრული კომფორტით. ფასი 350 დოლარი. მისამართი: შევარდენიძის ქ. 5.

## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# ხავი: „გვარდიოლა ისტორიას შექმნის, მოურინიო კი ბევრ ტიტულს მოიგებს“

**ხავი ერნანდესი — „ბარსელონას“ უმთავრესი ძალა. თავად კატალონიური კლუბის ფეხბურთელების განცხადებით, როდესაც ბურთი ხავის აქვს, მთელი გუნდი ვისვენებთო. ცხადია, ხავი გამუდმებით ექცევა ესპანური მედიის ყურადღების ქვეშ და ხშირად არასაფეხბურთო თემებზეც უწევს პასუხების გაცემა.**



***— ესპანური ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ხართ?***

— არა, ეს არ თქვათ! მე ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელი ვარ. ჩემთან ერთად ესპანურ ფეხბურთს პუიოლი, კასილიასი, ინიესტა, ვილია, პედრო, ბუსკეტსი და პიკე წარმოადგენენ. აღსანიშნავი ის არის, რომ ლუის არაგონესმა აქცენტი შემტევ ფეხბურთზე გააკეთა, რამაც ესპანეთს წარმატებები მოუტანა. ახლა ყველანი ჩემზე, ინიესტაზე და მესიზე საუბრობენ. ერთ დროს, ტანდაბალი ფეხბურთელები არავის სჭირდებოდა, ახლა კი, ჩვენზე ამბობენ, რომ სხვა პლანეტიდან ვართ.

***— თქვენ ნამდვილი ბარსელონელი ხართ?***

— დიახ, მე ნამდვილი „კულე“ (ჭეშმარიტი ბარსელონელი) ვარ. ბევრი გუნდი საკმაოდ სარფიან პირობებს მთავაზობდა, მაგრამ „ბარსაში“ დავრჩი, რადგან ეს გუნდი ძალიან მიყვარს.

***— გწყდებათ თუ არა გული იმაზე, რომ ბარსელონას ძველი საფეხბურთო სკოლის შენობა ცოტა ხნის წინ დაიხურა?***

— დიახ, ამ სკოლაში ფეხბურთის გარდა ცხოვრებასაც გვასწავლიდნენ. იქ გვეუბნებოდნენ, რომ ერთმანეთისთვის პატივი უნდა გვეცა.

***— ერთმანეთს ოინებს თუ უწყობდით?***

— ხშირად ხდებოდა მსგავსი რამ, მაგრამ მე არ ვმონაწილეობდი, რადგან მშობლები იქ გვიან ღამემდე არ მტოვებდნენ. ვინც იქ რჩებოდა, საუცხოო დროს ატარებდა.

***— ნორმალურად გამოიყურებით, არადა, თქვენზე ამბობენ, სხვა პლანეტიდან არისო.***

— დიახ, მე ნორმალური ადამიანი ვარ. ერთადერთი ის არის, ჩემი სტილისტი ყოველთვის მსაყვედურობს, რომ საზიზღარი თმა მაქვს.

***— რომელ ტატუს დაიხატავდით?***

— არ ვიცი, ალბათ, რამე ისეთს, რაც ჩემს ოჯახთან ან მეგობრებთან იქნებოდა კავშირში.

***— როდესაც „ბარსაში“ დაიწყეთ თამაში, ხელფასის სახით 24 ევროს იღებდით. ახლა კი...***

— ბარსაში 11 წლის ასაკში მოვედი. შესანიშნავი გრძნობა იყო, როცა კლუბის ოფისში მივდიოდი და ჩემს კუთვნილ თანხას ვიღებდი.

***— ითვლით თუ არა, რამდენ ფულს გამოიმუშავებთ ახლა?***

— რა თქმა უნდა. ყველაფერს ვაკონტროლებ.

***— მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ვფიქრობ, დიდი ქონება გაქვთ. თქვენი ბიზნესი როგორ მიდის?***

— კრიზისის გამო, არც ისე კარგად. ბიზნესს ჩემი ოჯახის წევრები მართავენ.

***— რას ფიქრობთ ჟოან ლაპორტას შესახებ?***

— ის განსაკუთრებული ადამიანია. ლაპორტა გამბედავი და პატიოსანი კაცია.

***— თქვენ ფეხბურთის ქირურგივით ხართ...***

— დიახ, ფეხბურთი ნამდვილად მესმის. სპორტის ეს სახეობა ყველას უყვარს, მაგრამ ცოტა თუ იქნება ბოლომდე ჩახედული.

***— როგორი სიტუაციები გაღიზიანებთ ყველაზე მეტად?***

— უსამართლობას ვერ ვიტან. მაგალითად, როდესაც გუნდი გოლს არ იმსახურებს და მაინც გააქვს. ასეთი შემთხვევებიც კი მაღიზიანებს.

***— ახალ სეზონში ახალი „ელ კლასიკოები“ გაიმართება. ამ თამაშებით არ დაიღალეთ?***

— ჩვენც, გულშემატკივრებსაც და ჟურნალისტებსაც მოგვწონს ის ატმოსფერო, რაც მოედანზე სუფევს ხოლმე. ეს ორი გუნდის ისტორიული დაპირისპირებაა, რომელსაც პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავს.

***— დავუშვათ, გვარდიოლა საუკეთესო მზარეულს შევადაროთ. ვის შეადარებდით მოურინიოს?***

— მზარეულის საქმის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ გვარდიოლა ისტორიას შექმნის, მოურინიო კი ბევრ ტიტულს მოიგებს.

***— ბოლოს როდის მოიწყინეთ?***

— რამდენიმე დღის წინ, როცა ჩემს სახლში — კოსტა ბრავაში წავედი.

***— „სელვეიმს“, ესპანურ შოუს, სადაც ცნობილი სახეები მონაწილეობენ, უყურებთ ხოლმე?***

— არა! ჩემი ზოგიერთი მეგობარი უყურებს. მე უფრო კროსვორდების შევსება მირჩევნია.

***— ხალხს ორი ნარკოტიკი აქვს — ფეხბურთი და ყვითელი პრესა.***

— იმ კრიზისის ფონზე, რაც ესპანეთშია, თუ ადამიანი პრობლემებს ივიწყებს და ერთობა, მისასალმებელია.

***— თქვენ არასდროს ხვდებით ყვითელი პრესის ფურცლებზე.***

— იმიტომ, რომ მარტო ვარ. თუმცა, ვერ მიგიხვდით რას გულისხმობთ. ზაფხულობით იბისაზე მეც დავდივარ, მაგრამ ვერიდები ისეთ ადგილებს, სადაც ხალხმრავლობაა.

***— გაწუხებთ თუ არა ის, რომ სრულყოფილი განათლების მიღება ვერ შეძელით?***

— რა თქმა უნდა. სწავლის მიტოვება 16 წლის ასაკში მომიწია, რადგან დილითაც და შუადღითაც ვარჯიშები მქონდა. სიამოვნებით ვისწავლიდი გეოგრაფიას. რუკებს ხშირად ვათვალიერებ ხოლმე.

***— ახლა, შუადღისით თავისუფალი დრო გაქვთ.***

— დიახ, მაგრამ ამ დროს ინგლისურის სწავლაში ვატარებ. ვფიქრობ, ყველა სპორტსმენს უნდა შეეძლოს ამ ენაზე ლაპარაკი. საამისოდ, ინგლისურის მასწავლებელიც დავიქირავე.

***— რა არის თქვენი სისუსტე?***

— ის, რომ საერთოდ არ ვარ ემოციური. სტაბილური და ნორმალური ადამიანი ვარ. გამიმართლა, რომ იმ საქმით ვცხოვრობ, რაც ყველაზე ძალიან მიყვარს.

***— ფიქრობთ, რომ გარკვეულ მომენტებში ფეხბურთშიც და ცხოვრებაშიც ბინძურად მოქცევაა საჭირო?***

— ზოგიერთ გუნდში ასეც თამაშობენ. ბარსაში ბინძურად ფეხბურთის თამაში არ ვიცით. ასევე ვიქცევით ცხოვრებაშიც.

***— რამდენჯერ უყურეთ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს?***

— ერთხელ მთლიანი მატჩი, ერთხელ კი ნახევარი ვნახე. ფინალი არ მომეწონა, კარგი თამაში არ იყო.

***— ცხოვრებაში რამეს თუ გააპროტესტებდით?***

— ხშირად მისვამენ კითხვას: ესპანელი ხარ თუ კატალონიელი? ეს ძალიან მაღიზიანებს. სპორტის სხვადასხვა სახეობებში ესპანეთის ნაკრებში ბევრი კატალონიელი თამაშობს. რატომღაც, ამ კითხვას მგონი მარტო მე და პუიოლს გვისვამენ. ზოგიერთი ადამიანი იმასაც ამბობდა, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაში არ მსურდა. მე კი მსოფლიოს ჩემპიონატი ტრავმირებულმა ჩავატარე!

# გაბელიამ ესპანეთთან მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები კი 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლის მომავალი მატჩებისთვის ემზადება. ოთარ გაბელიას შეგირდები, 1 სექტემბერს შინ, ხოლო 5 სექტემბერს სტუმრად ესპანელ თანატოლებთან 2 უმძიმესს მატჩს ჩაატარებენ.

ცნობილია იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ამ მატჩებისთვის მოემზადებიან:

**მეკარეები:** გიორგი მაკარიძე (ლე მანი, საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა (სპარტაკი);

**მცველები:** ნიკოლოზ აფაქიძე (ბაია), ლევან კაკუბავა (დინამო), სოლომონ კვერკველია, ავთანდილ ბრაჭული (ორივე რუბინი, რუსეთი), ლაშა კალანდაძე, ნიკოლოზ ჯიშკარიანი (ორივე გაგრა), ივანე კანდელაკი (სკონტო, ლატვია);

**ნახევარმცველები:** გივი იოსელიანი, თორნიკე თარხნიშვილი (ორივე ტორპედო), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), ნიკა კვეკვესკირი (დინამო), ზაქარია ბეგლარიშვილი (ფლორა, ესტონეთი), ნიკა ძალამიძე (ვიძევი, პოლონეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩივეცი, უკრაინა);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე, ირაკლი შეყილაძე (ორივე ემპოლი, იტალია), გიორგი ჭანტურია (ვიტესი, ჰოლანდია), ირაკლი ქობალია (ბაია).

ახალგაზრდული ნაკრები 28 აგვისტოს საღამოს სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ შეიკრიბება. ლეგიონერები თბილისში მომდევნო დღეს ჩამოვლენ. გაბელიას შეგირდები კარლო მჭედლიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია „ოლიმპიკის“ მოედანზე ივარჯიშებენ.

მატჩი კი 1 სექტემბერს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება და 20:30 წუთზე დაიწყება.

# ევროპაში „ანჟის“ ხმაური ისმის

ევროპაში გახურებული სატრანსფერო ბაზარია და როდესაც ბობოლა გუნდებისგან ხმაურიან ტრანსფერებს ელიან, მოულოდნელად მახაჭყალის „ანჟიმ“ ყველას აჯობა და მილანის „ინტერიდან“ კამერუნელი თავდამსხმელი, 30 წლის სამუელ ეტოო გადაიბირა.

„ანჟი“ მილანურ კლუბს 21 მილიონ ევროს გადაუხდის — აქედან 15 უკვე ჩაურიცხა, ხოლო კიდევ 6 მილიონს 2012 წლის ზაფხულში მიართმევს. კამერუნელის ხელფასი „ანჟიში“ წელიწადში 10 მილიონ ევრო იქნება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გოლებისა და გამარჯვებებისთვის დაწესებულ ბონუსებს, გაცილებით მაღალ თანხას მივიღებთ.

ეტოომ სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და დაღესტნურ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. კამერუნელი უკვე ემზადება „როსტოვთან“ რუსეთის პრემიერლიგის მატჩისთვის.

გადავინაცვლოთ ნისლიან ალბიონზე, სადაც ბოლო დროს ძალიან ბევრი საუბარი მიდიოდა სამირ ნასრის ტრანსფერზე. საბოლოოდ, არსენალისა და მანჩესტერ სიტის ხელმძღვანელები ნასრის ტრანსფერის ყველა დეტალზე შეთანხმდენ. ფრანგი ნახევარმცველი „ქალაქელებს“ უკვე შეუერთდა.

ნასრიმ „არსენალის“ შემადგენლობაში 3 სეზონი გაატარა. თავის დროზე, არსენ ვენგერმა იგი მარსელისგან შეიძინა.

სანირ ნასრის „მანჩეტერ სიტიში“ წასვლით არსებული სიცარიელის შევსებას ლონდონის „არსენალი“ ფრანგული „ლილის“ ლიდერის, ედენ აზარის შეძენით შეეცდება.

არსენ ვენგერი რომ აზარით იყო დაინტერესებული, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ მაშინ ვრცელდებოდა, როდესაც „ლილიდან“ „არსენალში“ ჟერვინიო არ იყო გადასული. სამირ ნასრის „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლის შემდეგ ბელგიელი ამომავალი ვარსკვლავის სახელმა კიდევ ერთხელ გაიჟღერა.

ბი-ბი-სი სპორტის ცნობით, ფაბრეგასისა და ნასრის ტრანსფერებიდან არსენალმა დაახლოებით 60 მილიონი გამოიმუშავა და ამ თანხის ნაწილით ლონდონელები სწორედ აზარის შეძენას შეეცდებიან.

არსენალს მიზნის მისაღწევად აგვისტოს ბოლომდე აქვს დრო და ლონდონელებმა უნდა მოახერხონ, რათა „ლილი“ ტრანსფერზე დაითანხმონ. გავრცელებული ინფორმაციით, საფრანგეთის ჩემპიონი პირველი ლიგის გასული გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელს 26 მილიონი გირვანქა სტერლინგის სანაცვლოდ შეელევა.

ლონდონის „ჩელსიმ“ კი „ვალენსიასთან“ მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა და ახალ სეზონში ხუან მატას „არისტოკრატების“ შემადგენლობაში ითამაშებს. ესპანელი ფეხბურთელის სატრანსფერო ფასმა 30 მილიონო ევრო შეადგინა.

მადრიდის „რეალის“ აღზრდილი 23 წლის ხუან მატა „ვალენსიას“ ღირსებას 2007 წლიდან იცავდა. „ღამურების“ შემადგენლობაში მან 129 მატჩი ჩაატარა და 33 გოლი გაიტანა. სავარაუდოდ, ესპანელი შემტევი „ჩელსიში“ 10-ნომრიან მაისურს მოირგებს.

# თემურის რაზმში კობახიძე გამოჩნდა

საქართველოს ეროვნული ნაკრები 2 სექტემბერს, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგ მატჩს ლატვიის ნაკრებთან თბილისში გამართავს, ხოლო 6 სექტემბერს მალტას ესტუმრება. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ უკვე გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც მოახლოებული მატჩებისთვის მოემზადებიან.

გეხსომებათ, საქართველოს ნაკრებმა ბოლოს ამხანაგური მატჩი პოლონელებთან ითამაშა და 0:1 დამარცხდა. იმ შემადგენლობასთან შედარებით სადღეისოდ უმნიშვნელო ცვლილებებია. ყველაზე თვალშისაცემია აკაკი ხუბუტიას არყოფნა. პოლონელებთან გაშვებულ გოლში გარკვეული ბრალი მასაც ეკუთვნის, თუმცა, ამჯერად არგამოძახების მიზეზი ტრავმაა, რომელიც ხუბუტიამ რუმინეთის ჩემპიონატის მატჩში მიიღო და არა შეცდომა.

ჰო, ქეცბაიას ხელში ნაკრების დაბრუნების შანსი მიეცა ალექსანდრე კობახიძეს, რომელიც უკრაინის ჩემპიონატში თამაშობს და ბოლო ტურებში საკმაოდ კარგადაც წარმოაჩინა თავი. მისი პროგრესი ნაკრების მთავარ მწვრთნელს არ გამოპარვია და შეკრებაზეც უხმო. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

საბოლოოდ, ნაკრები ლატვიასთან და მალტასთან ჩასატარებელი მატჩებისთვის მზადებას ამ შემადგენლობით დაიწყებს:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (დინამო), ნუკრი რევიშვილი (ანჟი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

**მცველები:** კახა კალაძე (ჯენოა, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერისფორი, თურქეთი), უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი, შოთა გრიგალაშვილი (ორივე ზესტაფონი), ჯაბა კანკავა (კრივბასი, უკრაინა), ლევან კობიაშვილი (ჰერტა, გერმანია), დავით თარგამაძე (ოლექსანდრია, უკრაინა), დავით კვირკველია (პანიონიოსი, საბერძნეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ალექსანდრე გურული (კარპატი, უკრაინა), ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი, უკრაინა);

**თავდამსხმელები:** ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), ვლადიმერ დვალიშვილი (მაქაბი, ისრაელი), ოთარ მარცვალაძე (კრასნოდარი, რუსეთი).

ეროვნული გუნდი შეკრებას ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ 28 აგვისტოს 12 საათიდან დაიწყებს. 29 აგვისტოს ნაკრებს ის ფეხბურთელები შეუერთდებიან, რომლებსაც კვირას თავიანთ კლუბებში მატჩების გამართვა უწევთ.

ლატვიასთან მატჩი 2 სექტემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა. პლეი-ოფი**

| | |
|---|---|
| აპოელი-ვისლა | 3:1 |
| ვილიარეალი-ოდენსე | 3:0 |
| გენკი-მაკაბი | 2:1(4:1პ) |
| მალმიო-დინამო(ზ) | 2:0 |
| ციურიხი-ბაიერნი | 0:1 |

**ირლანდია. თასი**

| | |
|---|---|
| დერი-სლიგო | 2:2(5:3პ) |

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| იტალია-ბულგარეთი | 74:71 |
| რუსეთი-პოლონეთი | 80:76 |
| გერმანია-ბოსნია | 86:64 |
| არგენტინა-კუბა | 84:54 |
| ურუგვაი-ვენესუელა | 74:83 |

### ფრენბურთი

**მსოფლიო გრან-პრი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| აშშ-იაპონია | 3:0 |
| ბრაზილია-იტალია | 3:0 |
| რუსეთი-ტაილანდი | 3:1 |

**ამხანაგური მატჩი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-სერბეთი | 3:0 |

### ჩოგბურთი

**ატპ. უინსტონ სეილემი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ნებეტო-კუნიცინი | 6:3;6:1 |
| დავიდენკო-რასელი | 6:2; 6:2 |
| მონაკო-კამკე | 7:5;6:0 |
| ტურსუნოვი-დარსი | 6:3;1:6;3:6 |
| ბლეიკი-ჰაასე | 4:6;1:6 |
| დიმიტროვი-იანგი | 6:4;2:6;7:6 |
| ნიშიკორი-ანდუჰარი | 7:6;6:2 |
| ისნერი-სელა | 7:6;6:2 |
| სტახოვსკი-გოლუბევი | 6:1;2:6;6:4 |
| დოლგოპოლოვი-ბერლოკი | 6:4;6:4 |
| ნიემინენი-ისტომინი | 3:6;6:4;6:4 |
| როდიკი-როჯერ ვასელინი | 6:2;6:4 |
| ჰირალდო-კავჩიჩი | 6:2;6:3 |

**ვტა. ნიუ ჰეივენი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| სკიავონე-ნიკულესკუ | 6:2;6:1 |
| იანკოვიჩი-ვესნინა | 4:6;6:2;4:6 |
| მაკჯეილი-სუარეს ნავარო | 6:2;6:2 |
| ვოზნიაცი-ჰერცოგი | 6:3;6:0 |
| რადვანსკა ა.-ცეტკოვსკა | 4:6;7:5;3:6 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედით საიტზე atb.ge

## დღის კალენდარი



**25 აგვისტოსთვის**

**წლის 227-ე დღე.**
**ახალ წლამდე დარჩა 138 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**სულთმოფენობიდან მე-14 შვიდეული.**

ღირსმოწამეთა: გერონტი და სერაპიონ მღვდელმონაზონთა, ოთარ და სვიმეონ იეროდიაკონთა, გერმანე და ბესარიონ მონაზონთა, და მიქაელ მორჩილისა, — დავით გარეჯის მონასტერსა შინა ლეკთაგან მოწყვეტილთა (1851); მოწამეთა: ფოტისა, ანიკიტოსი და მათთანა მრავალთა (305-306); მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, კომანელი ეპისკოპოსისა (III); მოწამეთა პამფილესი და კაპიტონისა.

**დაიბადნენ:**

1530 — ივანე IV მრისხანე, რუსეთის მეფე. გარდაიცვალა 1584 წელს.

1744 — იოჰან გოტფრიდ ჰერდერი, გერმანელი ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე და მწერალი. გარდაიცვალა 1803 წელს.

1767 — სენ-ჟიუსტი (ლუი ანტუანი), — საფრანგეთის დიდი რევოლუციონერი, რობესპიერის თანამოაზრე და თანამებრძოლი. გარდაიცვალა 1794 წელს.

1882 — იოსებ ყიფშიძე, ენათმეცნიერი, ფილოლოგი. გარდაიცვალა 1919 წელს.

1886 — ივანე გეგეჭკორი, მომღერალი. გარდაიცვალა 1971 წელს.

1911 — ნიკოლოზ სხირტლაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თსუ მინერალოგიის და პეტროგრაფიის კათედრის პროფესორი.

1911 — პეტრე შამათავა, ქართველი პუბლიცისტი, სცენარისტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

1911 — დავით კვესელავა, ქართველი მათემატიკოსი, პროფესორი. გარდაიცვალა 1978 წელს.

1916 — ფედერიკ ჩეპმენ რობინზი, ამერიკელი ვირუსოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1930 — გიორგი დანელია, კინორეჟისორი.

1930 — შონ კონერი, ამერიკელი კინომსახიობი, ჯეიმს ბონდის როლის პირველი შემსრულებელი.

1932 — ზინაიდა კვერენჩხილაძე, მსახიობი.

1942 — მარგარიტა ტერეხოვა, რუსი მსახიობი.

1947 — თამაზ ყურაშვილი, მუსიკოსი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

1970 — კლაუდია შიფერი, გერმანელი ტოპ-მოდელი.

**გარდაიცვალნენ:**

1227 — ჩინგიზ-ყაენი, ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი, მხედართმთავარი.

1776 — დეივიდ იუმი (ჰიუმი), ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ეკონომისტი და პუბლიცისტი.

1822 — უილიამ ჰერშელი, ინგლისელი ასტრონომი და ოპტიკოსი.

1867 — მაიკ ფარადეი, ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ელექტრომაგნიტური ველის შესახებ მოძღვრების ფუძემდებელი. შემდგომში მისი სახელი უწოდეს კანონებს, მოვლენებს, ფიზიკურ სიდიდეთა ერთეულებს და ა.შ.

1908 — ანტუან ანრი ბეკერელი, ფრანგი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1938 — ალექსანდრე კუპრინი, რუსი მწერალი.

1986 — გიორგი ჩიტაია, ეთნოგრაფი, ისტორიკოსი.

**მოვლენები:**

325 წელი — დადგინდა აღდგომის დღესასწაულის გამოთვლის წესი.

1609 წელი — გალილეიმ მოაწყო თავისი პირველი ტელესკოპის დემონსტრირება ვენეციელ ხელისუფალთა წინაშე.

1698 წელი — ევროპაში მოგზაურობის შემდეგ პეტრე I დაბრუნდა მოსკოვში.

1718 წელი — ფრანგმა კოლონისტებმა ლუიზიანაში დააარსეს ახალი ქალაქი ორლეანი.

1768 წელი — ჯეიმზ კუკმა დაიწყო მოგზაურობა პლიმუტიდან წყნარი ოკეანის მიმართულებით.

1825 წელი — ურუგვაიმ ბრაზილიისგან დამოუკიდებლობა მიიღო.

1829 წელი — აშშ-ს პრეზიდენტმა ჯექსონმა მექსიკას ტეხასის ყიდვა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო.

1859 წელი — რუსეთის არმიის ფელდმარშალმა ალექსანდრ ბარიატინსკიმ აიღო აული ღუნიბი და დაატყვევა შამილი.

1875 წელი — კაპიტანმა მეტიუ უებმ პირველმა გადაცურა ლა-მანშის სრუტე.

1878 წელი — ბათუმი გათავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან.

1906 წელი — განხორციელდა თავდასხმა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრზე პეტრე სტოლიპინზე.

1919 წელი — ლონდონსა და საფრანგეთს შორის დამყარდა პირველი საერთაშორისო საჰაერო რეისი.

1924 წელი — შეიქმნა საერთაშორისო საზღვაო შეთანხმება.

1940 წელი — დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალებმა პირველად დაბომბეს ბერლინი.

1944 წელი — პარიზი განთავისუფლდა ნაცისტური ოკუპანტებისგან.

1949 წელი — გრენლანდიის ზღვაში სასწავლო ცურვის დროს ჩაიძირა ამერიკული წყალქვეშა ნავი „კოჩინო“.

1952 წელი — პუერტო-რიკო ამერიკის რესპუბლიკა გახდა.

1955 წელი — უკანასკნელმა საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ავსტრია.

1988 წელი — ირანმა და ერაყმა დაიწყეს მოლაპარაკება რვაწლიანი ომის დასრულებაზე.

1989 წელი — ამერიკულმა კოსმოსურმა ზონდმა „ვოიაჯერმა“ პლანეტა ნეპტუნს მიაღწია.

1991 წელი — ბელორუსმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

პარაგვაი — კონსტიტუციის დღე

ურუგვაი — დამოუკიდებლობის დღე

**მედიანიუსი**

# მიწისძვრამ აშშ-ში ოფისების ევაკუაცია გამოიწვია

აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოხდა მიწისძვრა, რომლის სიძლიერემ 5.9 ბალი შეადგინა. მიწისძვრას მსხვილ ქალაქებში შენობებიდან მოსახლეობის ევაკუაცია მოჰყვა.

მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა ნიუ იორკსა და ვაშინგტონში.

პენტაგონიდან და აშშ-ის დედაქალაქის სხვა შენობებიდან, კაპიტოლიუმზე კონგრესის შენობის ჩათვლით, ადამიანები გარეთ გამოიყვანეს.

დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა, თუმცა ვაშინგტონში დაზიანდა ეროვნული ეკლესია, გარდა ამისა, ეკვადორის საელჩო.

ფედერალური ხელისუფლების განცხადებით, ვირჯინიის




შტატში ეპიცენტრის მახლობლად მდებარე ორი ბირთვული რეაქტორი გამორთეს, თუმცა ისინი არ დაზიანებულა.

ეპიცენტრი ვირჯინიის შტატის ქალაქ მინერალში 6 კმ-ის სიღრმეზე მდებარეობდა. გეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, მოგვიანებით მიწისძვრის სიმძლავრის შეფასება 5.8 ბალიდან 5.9 ბალამდე გაზარდეს.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, 1897 წელს დაკვირვებების დაწყების შემდეგ აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე ასეთი სიძლიერის მიწისძვრა არ დაფიქსირებულა.

აშშ-ის დედაქალაქში ბიძგები 30 წამი გრძელდებოდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ქუჩები ოფისებიდან ევაკუირებული ადამიანებით გაივსო. პოლიციამ სასწრაფოდ შემოარტყა ალყა სამთავრობო დაწესებულებებს და კაპიტოლიუმის ბორცვზე ყველა ფედერალური შენობისაკენ მისასვლელი გზა გადაკეტა.

ასევე მოხდა ევაკუაცია თეთრი სახლიდან, თუმცა ობამა ამ მომენტში რეზიდენციაში არ იმყოფებოდა და შვებულებას მასაჩუსეტსის შტატში, მარტას ვინიარდში ატარებს.

ბიძგები აქაც იგრძნობოდა, თუმცა — გაცილებით სუსტად. მიწისძვრის მომენტში ობამა გოლფს თამაშობდა.

მიწისძვრა ვრცელ ტერიტორიაზე იგრძნობოდა, ჩრდილოეთით ბოსტონიდან სამხრეთით ჩრდილო და სამხრეთ კაროლინის შტატებამდე და შუა დასავლეთში დეტროიტამდე და ინდიანაპოლისამდე.

ნიუ იორკის კენედისა და ნიუარკის აეროპორტებში ფრენები შეჩერდა. შესაძლო დაზიანებებზე ნაგებობების შემოწმების შემდეგ ფრენები განახლდა.

შენელდა მეტროსა და რკინიგზის მატარებლების მოძრაობა ვაშინგტონში.

მნიშვნელოვნად დაზიანდა ვაშინგტონის ფსევდოგოთური სტილის ეროვნული ტაძარი. ერთ-ერთ კოშკს შპილი ჩამოენგრა.

ნიუ იორკში, სადაც შენობები უფრო მაღალია, 11 სექტემბრის შემდეგ მიღებული წესები ამოქმედდა. პოლიციამ ადამიანები პარკებში, მაღალი შენობებიდან მოშორებით გაგზავნა.

თვითმხილველები, რომლებსაც მიწისძვრამ უოლ სტრიტის მაღალ სართულებზე მოუსწრო, ამბობდნენ, რომ მიწისძვრა იქ გაცილებით მწვავედ იგრძნობოდა.

მიწისძვრამ შეწყვიტა მანჰეტენის პროკურორ საირუს ვენსის პრესკონფერენცია, რომელიც დომინის სტროს-კანის წინააღმდეგ მიმართული საქმის შეწყვეტას ეხებოდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# „დინამომ“ „ჰიუნდაისთან“ ხელშეკრულება დადო

თბილისის „დინამოს“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა და „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ პრეზიდენტმა დავით გიორგობიანმა ხელი მოაწერეს სამწლიან ხელშეკრულებას.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:**

— გვიხარია, რომ კონტრაქტს ვაფორმებთ ფეხბურთის გვერდში მდგომ ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპანიასთან. შარშან, სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატი მთლიანად „ჰიუნდაის“ პატრონაჟით ჩატარდა. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ „ჰიუნდაი“ დინამოს სპონსორი ხდება. კომპანიის მხრიდან ეს სარისკო გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან ჩვენი კლუბი ჩამოყალიბების პროცესშია. მსურს, მადლობა გადავუხადო კომპანიის მფლობელებს და პრეზიდენტს.



**დავით გიორგობიანი:**

— ჩვენი კომპანიისთვის დიდი პატივია ისეთ კლუბთან თანამშრომლობა, როგორიც „დინამოა“. ვფიქრობ, ჩვენს ურთიერთობას კარგი პერსპექტივა აქვს და სწორედ აქეთ მივდივართ.

**მ. ჟ.**

# ბათუმის საავტორო ფილმების მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართება

17-24 სექტემბერს ბათუმის საავტორო ფილმების მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართება. მისი ორგანიზატორია ბათუმის ხელოვანთა სახლი „არგანი“, ოფიციალური პარტნიორი — ბათუმის მერია. ღონისძიების მხარდამჭერები არიან: საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, პოლონეთის ფილმების ინსტიტუტი, გოეთეს ინსტიტუტი, რიტისჰ ჩოუნცილ, აშშ-ის საელჩო საქართველოში, კომპანია „აირზენა“ და ბათუმის საერთაშორისო კონტეინერების ტერმინალი. ფესტივალის ძირითად პროგრამაში წელს 50-მდე სრულმეტრაჟიანი ფილმი, ხოლო ახალგაზრდულ მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციაში — 30 ფილმი იქნება. წარმოდგენილი იქნება დაახლოებით 22-23 ქვეყანა.




ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი 2006 წელს დაარსდა. ის ქვეყანაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კულტურული ღონისძიებაა. კინოფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით სხვადასხვა წელს იმყოფებოდნენ: კრისტოფ ზანუსი, იერჟი რაძივილოვიჩი, იერჟი შტური ზბიგნევ რიბჩინსკი (პოლონეთი), იოს სტელინგი (ჰოლანდია), ნინო კირთაძე, ნანა ჯორჯაძე, ირაკლი კვირიკაძე (საქართველო), მანიჯე ჰეკმათი, პეგა აჰანგარანი, მოჰსენ ამირუსაფირი, აბას კიაროსტამი (ირანი), პაველ პავლიკოვსკი (დიდი ბრიტანეთი), მიხეილ კობახიძე(საფრანგეთი), სიდიქ ბარმაკი (ავღანეთი).

**მედიანიუსი**




## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ბნელი ღამე; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. ფსიქიური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ მოძრაობს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. ქიმიური ელემენტი, ძალზე მტკიცე ლითონი; 12. გარკვეული მდგომარეობისა და მიმართულების მქონე სწორი ხაზის მონაკვეთი; 14. იაპონური მაგიდის ლოგიკური სათამაშო; 15. ფულის ერთეული ალბანეთში; 17. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. აშშ-ს ელჩი საქართველოში.

**თარაზულად:** 6. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 7. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 8. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. მაღალხარისხოვანი ქვანახშირი; 11. მეტალურგიაში, გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი; 13. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი შვედური ფირმა; 20. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხილარი; 2. კარე; 3. კოპერნიკი; 4. ხეპრე; 5. ხილნარი; 8. ქენონი; 9. ხარაგაული; 12. სულორი; 14. მატისი; 16. ისანი.

**თარაზულად:** 1. ხვანჭკარა; 6. ჩოქბჯენი; 7. ლანქერი; 9. ხუცესი; 10. მესა; 11. კონტური; 13. ხომლი; 15. აუდიტი; 17. ხირხატი; 18. ბოგოტა; 20. მირიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაგიათი; 2. ფხოვი; 3. რეზექცია; 4. დვალეთი; 5. ტენდენცია; 9. სტოუნი; 12. კურიოზი; 15. გენი; 14. აიკიდო; 17. ცენტი; 18. პატო.

**თარაზულად:** 6. მარიხი; 7. ცერცვაძე; 8. ჩიბუხი; 10. ტენგე; 11. ჰიდროფობია; 13. კაშაგანი; 16. კუბიცა; 19. ავტომატი; 20. სოლფეჯიო.

# კადაფი ბოლომდე ბრძოლას აპირებს

ლიბიელი მეამბოხეების რაზმები სამშაბათს შევიდნენ ყაზარმებში, რომლებიც, იმავდროულად, 42 წლის განმავლობაში მოამარ კადაფის შტაბისა და პირადი რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა.

მათ რეჟიმის სიმბოლოების მსხვრევა დაიწყეს, თავი მოამტვრიეს კადაფის მოოქროვილ ფიგურას და ფეხით შესდგნენ მას. გარდა ამისა, კადაფის რეზიდენციიდან მრავალი ნივთი წაიღეს.

ცნობილი კარავი, რომელშიც კადაფი სტუმრებს ილებდა და საზღვარგარეთ თან დაჰქონდა, დაწვეს.

კადაფისა და მისი ახლობლების ადგილსამყოფელი კვლავინდებურად უცნობია.

რადიოთი კადაფის მსგავსი ხმის მქონე მამაკაცმა ბაბ-ალ-აზიზის დატოვებას „ტაქტიკური მანევრი“ უწოდა.

მისი თქმით, რეზიდენცია ნატოს 64 თავდასხმის შედეგად დაინგრა, თუმცა თავად ბრძოლის გაგრძელებას სიკვდილამდე ან საბოლოო გამარჯვებამდე აპირებს.

კადაფიმ ასევე განაცხადა, რომ პირადად შეამოწმა ტრიპოლიში არსებული ვითარება: „ქალაქის ქუჩებში გავიარე, ისე, რომ არავის დავენახე და არ მომეჩვენა, რომ ტრიპოლი საფრთხეშია“, — განაცხადა მან.

მისი გამოსვლის ჩანაწერი ტელეარხმა „ურუბამაც“ გადასცა. ბიბისის თანახმად, ეს არხი ერთადერთი მაუწყებელია, რომელიც კადაფის უჭერს მხარს.

ამავე არხმა მოგვიანებით გადასცა სატელეფონო ინტერვიუ კადაფის მთავრობის ინფორმაციის მინისტრ მუსა იბრაჰიმთან.

იბრაჰიმის ადგილსამყოფელი ასევე უცნობია. მან განაცხადა, რომ ტრიპოლიში კადაფის ერთგული 6500 ჯარისკაცი შევიდა, კიდევ 12 ათასი შევა. იბრაჰიმის თქმით, ტრიპოლის 80% პროსამთავრობო ჯარების კონტროლის ქვეშ რჩება.

თუმცა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მსგავსი განცხადებების ტრიპოლიში არ სჯერათ.

მეამბოხეთა ლიდერები აღნიშნავენ, რომ ქალაქის მეტ ნაწილს აკონტროლებენ, თუმცა წინააღმდეგობის კერები ჯერ კიდევ რჩება.

ერთ-ერთ ასეთ კერაში მდებარეობს სასტუმრო „რიქსოსი“, სადაც ჯერ კიდევ კადაფის დროს ტრიპოლიში ჩასული უცხოელი ჟურნალისტები უნდა დაბინავებულიყვნენ.

სასტუმროში 35 უცხოელი რჩება და კომპლექსის დატოვება საკუთარი ნება-სურვილით მათ არ შეუძლიათ.

ეროვნული გარდმავალი საბჭოს წევრებს, რომლებიც დღემდე ბენგაზიში იყვნენ დაბინავებული, ტრიპოლიში გადასვლას აპირებენ ახალი, დროებითი მთავრობის ფორმირების მიზნით.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს მარტივი არ იქნება, რადგან ტრიპოლის აეროპორტი უსაფრთხოდ არ ითვლება, ამიტომ ახალი მთავრობის წევრებს ტრიპოლის მახლობლად მთებში დაშვება,



შემდეგ კი ქალაქამდე ავტომობილებით მისვლა მოუწევთ.

მიმომხილველების თქმით, ქალაქში უსაფრთხოებისა და მაროდიორობის აღკვეთის მიზნით ახალ ხელისუფლებს პოლიციელებთან და სამხედროებთან კონტაქტის დამყარება მოუწევთ. გარდა ამისა, თავიანთ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ სხვადასხვა დაჯგუფება, რომლებიც კადაფის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდნენ.

ეროვნული გარდამავალი საბჭოს წევრებმა უკვე მოუწოდეს მეამბოხეებს, არ დაუშვან მკვლელობები პირადი შურისძიების ნიადაგზე.

# სომხეთში ბრიტანეთის ელჩად ცოლ-ქმარი დანიშნეს

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სომხეთში ელჩად ცოლ-ქმრის დანიშვნის გამო კრიტიკის სამიზნე შეიქნა.

ფორინ ოფისის გადაწყვეტილებით, ცოლ-ქმარი ჯონათან ჯეიმს ეივზი და კეტრინ ჯეინ ლიჩი სომხეთში დიდი ბრიტანეთის ელჩის პოსტს 2012 წლიდან დაიკავებენ, მაგრამ ელჩის მოვალეობას რიგრიგობით შეასრულებენ.



მაშინ როდესაც ერთ-ერთი მეუღლე სომხეთში ბრიტანეთის ინტერესების წარმომადგენელი იქნება, მეორე სამ შვილს — შვიდი წლის მედის, ოთხი წლის მიმისა და ორი წლის ჯოს მოუვლის.

ამ დიპლომატიურ ოჯახში არსებული იდილიის მიუხედავად, ბრიტანელების ამ გადაწყვეტილებამ სომხეთის უკმაყოფილება გამოიწვია. მათ მიიჩნიეს, რომ ამგვარად ბრიტანელები სომხეთის მიმართ არასაკმაოდ სერიოზულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.

როგორც ბრიტანული „დეილი მეილი“ აღნიშნავს, ცეცხლზე ნავთი გადაასხა იმან, რომ ცოტა ხნის წინ ბრიტანეთის ამჟამინდელმა ელჩმა ერევანში საელჩოს თანამშრომელ სომეხ ქალზე იქორწინა.

„დეილი მეილის“ თანახმად, ამ მოვლენების გამო ბრიტანეთის საელჩოს „სიყვარულის საელჩო“ უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის მთავრობამ ბრიტანეთის გადაწყვეტილება მიიღო, ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა ნირი არ შეიცვალეს და კვლავ სკეპტიკურად არიან განწყობილი.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილე არმან ნავასარდიანმა განაცხადა, რომ ბრიტანელები სომხებს სერიოზულად არ აღიქვამენ და მას ეჭვი ეპარება, აშშ-ში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში ამგვარად მოქცეულიყვნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი შემთხვევა ერთადერთი არ არის. მსგავსი სქემა მოქმედებს ზიმბაბვეში, დიდი ბრიტანეთის საელჩოში, სადაც უზენაესი კომისრის მოვალეობას ცოლ-ქმარი კეროლინ დევიდსონი და ტომ კარტერი იყოფენ.

სომხეთში დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყოფილი ელჩი, 51 წლის ჯონათან ეიმზი, დიპლომატიური კარიერის დაწყებამდე სასექსის უნივერსიტეტის რუსისტიკის კათედრის მასწავლებელი იყო. მისი მეუღლე, 41 წლის კეტრინ ლიჩი, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი კომპანიის თანამშრომელი გახლდათ.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მათ მუშაობა 1996 და 2000 წელს დაიწყეს და სამხრეთ კავკასიის, ასევე მთლიანად რეგიონის ისტორიის, ენებისა და კულტურის შესწავლაში მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ.

# ავსტრალიაში 3.4 მილიარდი წლის ნამარხი ბაქტერიები აღმოაჩინეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გოგირდოვანი ნაერთების გადამუშავების ხარჯზე იღებდა და თანამედროვე მიკროორგანიზმებისაგან ამით განსხვავდებოდა.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ბაქტერიები დედამიწაზე მცხოვრებ უძველეს ორგანიზმებს განეკუთვნება და მათმა შესწავლამ დედამიწაზე იმ დროს არსებულ პირობებს შეიძლება მოჰფინოს ნათელი.

ქვიშაქვის ფენები, სადაც ნამარხი ბაქტერიები აღმოაჩინეს, 3.4 მილიარდი წლის წინ, სავარაუდოდ, მდინარის შესართავს ან სანაპიროს წარმოადგენდა. ნამარხი ბაქტერიების ზომა სიდიდით რამდენიმე მიკრონს არ აღემატება. მათ ორგანულ წარმოშობაზე მიანიშნებს სფეროსებური, აგრეთვე ელიფსოიდური ფორმა, გარდა ამისა, ქანებში არსებული სიცარიელეები.

გარდა ამისა, ბიოლოგიურ წარმოშობაზე მიანიშნებს პირიტის მიკროკრისტალებიც, რომლებიც იმავე ქანებში იპოვეს. აღნიშნულ კრისტალებში იზოტოპების ტიპი მიანიშნებს, რომ ისინი ცოცხალ ორგანიზმში წარმოიქმნა.

3.4 მილიარდი წლის წინ დედამიწაზე ექსტრემალური ბუნებრივი პირობები იყო. წყლის ტემპერატურა ტბებსა და მდინარეებში 40-50 გრადუსს აღწევდა, ჰაერისა — კიდევ უფრო მეტი იქნებოდა. ატმოსფეროში ნახშირორჟანგი და მეთანი ჭარბობდა, ჟანგბადი კი საერთოდ არ იყო.

ჟანგბადის გარეშე ცოცხალ ორგანიზმებს ენერგიის სხვა წყარო ესაჭიროებოდათ და ერთ-ერთ ვარიანტს გოგირდი წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმები გოგირდოვან ბაქტერიებზე უფრო ადრე არსებობდა.

მეცნიერების აზრით, ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა გრენლანდიის დასავლეთით ნაპოვნი ქანები, რომელთა ასაკი 3.75 მილიარდ წელს შეადგენს. ამ ქანებში ვულკანური ფერფლის ფენებით გამოყოფილი შავი, თხელი ფენები მეცნიერებს მიკროწყალმცენარეების აქტივობაზე მიანიშნებს.

ამ ქანებში მეცნიერებმა ნამარხი ნაშთები ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ნახშირბადის შემცველობის ანალიზის შედეგი ცოცხალი ორგანიზმების არსებობის ვერსიას არ ეწინააღმდეგება.

ისიც აღსანიშნავია, რომ მიღებულ შედეგებს სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულად განმარტავს.

აღსანიშნავია, რომ უძველესი ორგანიზმების ნამარხ ნაშთებს მეცნიერები უფრო სიცოცხლის არამიწიერი ფორმების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით სწავლობენ.

საქმე ისაა, რომ სხვა პლანეტებზე არსებული ბუნებრივი და ატმოსფეროული პირობები დედამიწაზე, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არსებული პირობების მსგავსი შეიძლება იყოს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე გოგი, შვილები ეკა, ნინო, შორენა, სოფიკო მერაბიშვილები, და ნანი, ძმა ავთანდილ ხუნდაძეები, დისშვილი ვახტანგ წერეთელი, ძმისშვილი დავით ხუნდაძე, სიძეები კახა გოგოლიძე, ბესიკ ოქროპირიძე, გიორგი ცინცაძე, თენგიზ ფერაძე, რძლები მაყვალა წულაია, ქეთევან გუნცაძე, შვილიშვილები გიორგი და მარი ცინცაძეები, სოფო და სალომე ოქროპირიძეები, ვატო და ნიკი ფერაძეები, ვაკო და გიგი გოგოლაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ვალიდა (ჩიტო) ხუნდაძე-მერაბიშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 25, 26 აგვისტოს, ჟ.შარტავას 18ა;

გამოსვენება: 27 აგვისტოს, 15 საათზე, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესიიდან (ვერის სასაფლაო).

---

და ნანი ხუნდაძე, სიძე ავთანდილ წერეთელი, დისშვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთევან ჯაფარიძე, შვილიშვილები ირინა და ავთანდილ წერეთლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ვალიდა (ჩიტო) ხუნდაძე-მერაბიშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 25, 26 აგვისტოს, ჟ.შარტავას 18ა;

გამოსვენება: 27 აგვისტოს, 15 საათზე, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესიიდან (ვერის სასაფლაო).

---

ლალი ჩხეიძე, გივი, სანდრო, ქეთევან ჯაფარიძეები ოჯახით იუწყებიან უკეთილშობილესი ქალბატონის

**ვალიდა (ჩიტო) ხუნდაძე-მერაბიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს იმერეთის რეგიონის კოორდინატორს, ბატონ გიორგი გოგლიჩიძეს ბიძის

**დავით გოცაძის**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 25 აგვისტო**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.00** სათავგად. ფილმი **"ცალრქას მოგზაურობა"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერიალი **"კრიმინალური სეზონი"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **17.30** **ძიუდო**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. პლეიოფი. "დინამო" (თბილისი) — "აეკი" (საბერძნეთი) **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"თვალი თვალის წილ"** (12) (ე. ჰარისი) **02.50** მოამბე **03.10** მხ. ფილმი **"დამიჭირე თუ შეგიძლია"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "მილიონერები" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **20.00** მხ. ფილმი **"ბუნების ძალები"** **01.00** მხ. ფილმი **"თავისუფლების მწერლები"**

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** სერიალი **"კლუბი"** **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმნდობი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სერ. **"მაშველები"** **13.30** ქართ. ფილმი **"დონ ჟუანის დაბადება"** **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** პროფილი (გან.) **23.00** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **00.30** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **09.15** ან ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. **"ჰანა მონტანა"** **10.00** სერიალი **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **12.50** სერ. **"ფული და სექსი"** **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ბოიარის ციხესიმაგრე **15.00** წუთისოფელში **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერიალი **"შუა ქალაქში"** **23.00** მუს. ლიგა (გან.) **00.30** რემონტი **01.00** მხ. ფილმი **"ლამაზი ქალი"** (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **03.30** მხ. ფილმი **"კერკეტი კაკალი 3"** (ბ. უილისი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00, 13.00, 19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"ფანტაზიების კუნძული"** **14.30** სერიალი **"ტყუპები"** **15.30** პულსი **16.00** ფარული კამერა **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"ელიზა დი რივერმბროზა"** **21.00** სერიალი **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** "მზის სახლი" **22.30** "მზის სახლი" — დაჯილდოება **23.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"სენიორა პრეზიდენტი"** **12.50, 19.35** სერიალი **"მოსკა და სმიტი"** **15.00** სერიალი **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ნინო"** **13.30** კონცერტი — ნ. გელაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"თხუნელა"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** ირაო **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ხევისბერი გოჩა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** გამოყენებითი ხელოვნება **22.20** დოკ. ფილმი "კოდორის გმირები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრ□. **00.30** განთიადის კოლაჟი **01.25** კონცერტი — ლუჩანო პავაროტი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,642

ევრო —2,3699

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7085

რუსული რუბლი — 0,0613

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-26, ღამით — 14-18

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-26, ღამით — 14-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 8-13

## ამინდის პროგნოზი 25 აგვისტოსთვის




# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი

ფასი: 69 თეთრი

## გუმბათი

**თამარ ჭოხონელიძის ოჯახში დიდი სიწმინდე ინახება**

**ბორის ბედიას ოჯახის შექმნის ეშინია**

**სალომე ქათამაძე: „მე ნანუკა ჟორჟოლიანის ალმოჩენა ვარ“**



# საქართველოს ნაკრები 6 ადგილით დაქვეითდა

**გუშინ ფიფა-კოკა-კოლას ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა, რომელშიც საქართველოს ნაკრები 6 ადგილით ჩამოქვეითდა და ამჟამად 63-ე ადგილზეა.**



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა ხორვატიამ და საბერძნეთმა თითო ადგილით ქვემოთ ჩაინაცვლეს. ხორვატიამ მეცხრედან მეათე ადგილზე გადაინაცვლა, საბერძეთმა კი მეათედან მეთერთმეტეზე. ასევე ერთი ადგილით ჩამოქვეითდა ლატვია და 84-ე ადგილს იკავებს. კიდევ ერთი მეტოქე მალტა კი 6 ადგილით დაწინაურდა და 102-ეა.

ცვლილებებია პირველ ათეულშიც. პირველ ადგილზე ჰოლანდიის ნაკრებმა აინაცვლა და ლიდერობა ესპანეთს ჩამოართვა. ორი ადგილით უკან დაიხია ბრაზილიის ნაკრებმა.

**პირველი ათეული ასე გამოიყურება:**

1. ჰოლანდია (1596)
2. ესპანეთი (1563)
3. გერმანია (1330)
4. ინგლისი (1177)
5. ურუგვაი (1174)
6. ბრაზილია (1156)
7. იტალია (1110)
8. პორტუგალია (1060)
9. არგენტინა (1017)
10. ხორვატია (1009)

მ. ჟ.

# ავსტრალიაში 3.4 მილიარდი წლის ნამარხი ბაქტერიები აღმოაჩინეს

ავსტრალიის დასავლეთით, ქვიშაქვის ფენებში აღმოჩენილი ნამარხი ბაქტერიების ასაკმა 3.4 მილიარდი წელი შეაადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არსებობდა მაშინ, როდესაც დედამიწის ატმოსფეროში ჟანგბადი ჯერ არ იყო.

ამ დასკვნამდე ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები ავსტრალიის მიყრუებულ კუთხეში, სტრელიპულში 2007 წელს აღმოჩენილი გაქვავებული ნამარხების შესწავლის შემდეგ მივიდნენ.

ჟურნალ „ნეიჩარალ ჯიოსაიენსში“ გამოქვეყნებული ანალიზების შედეგების თანახმად, ეს მიკროორგანიზმები ენერგიას ჟანგბადის კი არა,

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## ასტროპროგნოზი 25 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

არ გადაიტვირთოთ

**ვერძი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **კურო** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **ლომი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ქალწული** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი**... **სასწორი** — წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, თქვენთვის მშვიდად იყავით. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **თხის რქა** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, სხვებს ნუ დაუჯერებთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს ადვილად გაართმევთ თავს. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



— ეს თქვენ ხართ ლომების მომთვინიერებელი?

— დიახ.

— მერე, რატომ არაფერს გიშავებენ, თქვენ ხომ ასეთი პატარა და გალეული ხართ.

— სწორედ ეგ არის საქმე — ელოდებიან, სანამ გავსუქდები...

* * *

— რა განსხვავებაა უმეცრებასა და აპათიას შორის?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს...

* * *

— ჭამის წინ ხელების დაბანა სჯობს ჭამის შემდეგ კუჭის ამორეცხვას.

* * *

— უფრო ხშირად უნდა დაიბანოთ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.

— მე ყოველდღე ვიღებ აბაზანას.

— მაშინ, აბაზანაში წყალი უფრო ხშირად უნდა გამოცვალოთ...

გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კუთხე საქართველოში; 2. ბერძნული ყველი; 3. მეფის დროშის სახელწოდება საქართველოში; 4. გერმანული პარფიუმერული ფირმა; 5. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 8. მრწამსი, მსოფლმხედველობა; 9. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 12. ქვის ხავსი; 14. ბელგიური ავიაკომპანია; 16. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად:** 1. დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. შურისძიების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ახალწვეული ჯარისკაცი არმიაში; 9. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 10. ხოხბის, გნოლის, კაკბის ბარტყი; 11. ბატონი, მსხვილი მემამულე შუა საუკუნეებში; 13. მდინარე ვარშავაში; 15. ფულის ერთეული ავღანეთში; 17. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 18. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 19. გია დანელიას კინოკომედია; 20. გემის მდგრადობის გამაწონასწორებელი ტვირთი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## ხართ თუ არა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი? ტესტი



***1. თუ უყვებით სხვებს თქვენს პრობლემებს?***

ა. არა. ბ. დიახ, გ. ხანდახან.

***2. რამდენად ძლიერ განიცდით პრობლემებს?***

ა. ყოველთვის მძიმედ. ბ. ცდილობთ, აიტანოთ. გ. გარემოებებს გააჩნია.

***3. სასმელს თუ სვამთ, იმიტომ, რომ:***

ა. არ სვამთ. ბ. მოგწონთ. გ. თქვენი პრობლემები ჩაახშოთ.

***4. როდესაც ახლობელი ადამიანი წყენას გაყენებთ:***

ა. ახსნა-განმარტებას მოითხოვთ. ბ. საკუთარ ნაჭუჭში იკეტებით. გ. ყველას უყვებით, ვისაც მოსასმენად სცალია.

***5. როდესაც ბედნიერად გრძნობთ თავს:***

ა. არ ფიქრობთ გადატანილ უბედურებაზე. ბ. შიშობთ, ეს წუთი სწრაფად გაივლის. გ. არ გავიწყდებათ, რომ ამქვეყნად პრობლემებიც არსებობს.

***6. რას ფიქრობთ ფსიქიატრების შესახებ?***

ა. შეუძლია, თავად დაეხმაროს საკუთარ თავს ბ. არ ისურვებდით მათ პაციენტად გახდომას. გ. მრავალ ადამიანს ეხმარებიან.

***7. თქვენი აზრით, ბედი:***

ა. მდევარია. ბ. არ გწყალობთ. გ. გწყალობთ.

***8. რას ფიქრობთ საყვარელ ადამიანთან კამათის შემდეგ, როდესაც ბრაზი გადაგივლით ხოლმე?***

ა. იმაზე, რისი ატანაც მასთან მოგიხდათ; ბ. შურისძიებისთვის ემზადებით; გ. იმ სასიამოვნოზე, რაც წარსულში გქონდათ.

## პასუხები

**პასუხები შეაფასეთ:**

**ა. — 1; ბ — 2; გ — 3;**

**8-13 ქულა:** თქვენ ჯერ ვერ ისწავლეთ პრობლემების წამოჭრისას საკუთარი თავის დამორჩილება. ამჯობინებთ, საკუთარ თავში ჩაიკეტოთ. ზოგჯერ საკუთარი თავი გენანებათ.

**14-18 ქულა:** ხდება ხოლმე, რომ ხანდახან თავბედს იწყევლით, მაგრამ მაინც გაქვთ თქვენი პრობლემების „გადმოფრქვევის“ შესაძლებლობა და მაშინვე მშვიდდებით. მაინც დაფიქრდით, იქნებ ღირდეს, უფრო დაიმორჩილოთ თავი.

**19-24 ქულა:** ადვილად ურიგდებით პრობლემებს, უბედურებასაც კი, რადგან სწორად აფასებთ მათ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საკუთარი თავი არ გეცოდებათ. თქვენი სულიერი წონასწორობა აღტაცებას იმსახურებს.

გ. თ.